საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, რიგიერიც ბეჭდვური სიფცვაა, ფცუიღებით და ჭიარებით ბუტთის გაფანა ყვეღა უკარტისიბაზე უსაძაგღესია.

ოთხშაბათი, 30 მარტი. 2016 წ. №58 (7950), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

მამუკა არეშიძე: რაც ადრე პანკისში ხდებოდა, იმაზე უარესი ქვემო ქართლსა და აჭარაში ხდება

⑥

სირიასა და ერაყში ტერორისტული მიზნებით საქართველოს 50-მდე მოქალაქე იმყოფება

თავისუფლება - ანჯელა დევისს!

ავი მუსაიფი — ნადეჟდა სავჩენკოსა და ახორუმებულ ლიბერასტებზე

④

ლევან იზორია: ვიდეოები აიტვირთა კონკრეტული ევროპული ქვეყნებიდან!..

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილის ლევან იზორიას გუშინდელი განცხადებით, ფარულ ჩანაწერებთან დაკავშირებით გამოძიების ფარგლებში მიმართეს საერთაშორისო მომსახურების ცენტრებს და მათი მხრიდან მიიღეს გარკვეული ინფორმაცია.

„აქ ლაპარაკია google-ზე facebook-ზე და „იუთუბზე“. მათ მოგვაწოდეს ინფორმაცია, რომ რაღაც ვიდეოები აიტვირთა კონკრეტული ქვეყნებიდან. საუბარი იყო უკრაინაზე, შვედეთზე და ლიტვაზე“...

მისივე თქმით, არჩევნების შემდეგ, გარკვეულ პერიოდში არსებობდა შესაძლებლობა, ფარული ვიდეოჩანაწერები ქვეყნიდან გაეტანათ.

„კადრების გატანას უნდა ერთი დღე. მე შეგნებულად გითხარით, რომ იმ პერიოდში, როდესაც ოქტომბრის თვეში, თითქმის ერთი თვე შესაძლებლობა ჰქონდათ მავანთ, ეს კადრები გაეტანათ, საკმარისი იყო იმისთვის, რომ გაეტანათ. რეაგირებას როგორ მოვახდენდით, როდესაც უფლებამოსილებას ვერ ვახორციელებდით. შესაბამისად, შეიძლება კითხვა გაჩნდეს იმ მომენტში რეაგირებაზე. იმ მომენტში ჩვენ უფლებამოსილებებს, ვიმეორებ, ვერ და არ ვახორციელებდით“.

დიახ, თსუ-ს კანცლერის მოადგილე ოდეერი იყო

ლევან იზორია ადასტურებს, რომ თსუ-ს კანცლერის მოადგილე ოდეერი იყო. მისი განმარტებით, აღნიშნული პირი, ვისზეც საუბრობენ, 2015 წლის აგვისტომდე, სუს-ის თანამშრომელთა რიგებში ირიცხებოდა, თუმცა, აგვისტოს შემდეგ ის უნივერსიტეტმა დაიტოვა, მაგრამ უსაფრთხოების სამსახურის ფუნქციებს აღარ ასრულებდა.

იზორიას მტკიცებით, რეფორმების განხორციელების შედეგად ცალკეულ სტრუქტურებთან ნებაყოფლობითი თანამშრომლობით უნდა განსაზღვრულიყო სუბიექტთა წრე, სადაც იქნებოდა მაღალი რისკი უსაფრთხოებისა. მისივე თქმით, ამ სუბიექტთა წრე განისაზღვრა და ამას არა სუს-ის ხელმძღვანელი, არამედ მთავრობა წყვეტს და შესაბამისად, ის გაცილებით მაღალი ლეგიტიმაციის მქონეა. მთავრობის გადაწყვეტილების შემდეგ უკვე თავად სუბიექტი განსაზღვრავს, უსაფრთხოებიდან გამომდინარე ჰყავდეს თუ არა წარმომადგენელი უსაფრთხოების სამსახურიდან.

„რაც შეეხება უნივერსიტეტებს, ჩვენ კატეგორიული უარი ვთქვით, რომ საგანმანათლებლო ორგანოში ყოფილიყო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენელი, თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ იქაც არ არსებობს გარკვეული საფრთხეები, რაც სახელმწიფო უსაფრთხოებას უკავშირდება. მაგალითად, როცა უცხო ქვეყნიდან, ისეთიდან, სადაც ძალიან მოიკიდა ფეხი ტერორიზმმა, არიან სტუდენტები, საინტერესოა, რა მიზნით, რა სპეციფიკით, რა განზრახვებით არიან ჩამოსული. გამომდინარე იქიდან, რომ ავტონომიურობის მაღალი ხარისხი აქვს საგანმანათლებლო დაწესებულებას, ჩვენ მივიღეთ პოლიტიკური გადაწყვეტილება, რომ ე.წ. ოდეერი ინსტიტუტებში არ იყოს“.

ალთქმული მიწა... ომი და ინოვაციური ეკონომიკა

⑦

რას მოუტანს საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება?

③

ერთნაირსქესიანთა ქორწინების საკითხზე, შესაძლოა, რეფერენდუმი ჩატარდეს

②

⑨ ლარის გაუპატიურება და „ოცნების“ ხვალინდელი დღე

„ტროტუარი ხალხისაა“, მაგრამ... ხალხს - ხვიშტი!

⑪

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავთ, სხვაგან ვერ ნახავთ!

ანტიკორუფციული სისტემის გასაძლიერებლად მუშაობენ

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში პროექტის „გამჭვირვალობისა და ანტიკორუფციული სისტემის გაძლიერებლად“ ფარგლებში პირველი სამუშაო შეხვედრა გაიმართა. სამუშაო ჯგუფის შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე ეკა სეფაშვილი, USAID-ისა და ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის წარმომადგენლები.

უწყების ინფორმაციით, პროექტი მიზნად ისახავს სამინისტროში მმართველობის პრინციპების გაუმჯობესებას, საჯარო ეთიკის დახვეწასა და კორუფციის პრევენციისთვის სტრატეგიის შემუშავებას. პროექტის ფარგლებში შემუშავდება ახალი სტანდარტები, რომელიც სამინისტროში ანგარიშვალდებულების და გამჭვირვალობის გაზრდას უზრუნველყოფს.

შეხვედრაზე განიხილეს პროექტით გათვალისწინებული მიზნები, ამოცანები და ღონისძიებები. პროექტის ერთ-ერთი მიზნის შესაბამისად, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო საქართველოს მთავრობის ღია მმართველობის 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმას შეუერთდება.

„ჩვენს ქვეყანაში მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია“

„პაატა ბურჭულაძე — საქართველოს განვითარების ფონდმა“, ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფციის შემუშავების ფარგლებში საერთაშორისო კონფერენციას უმასპინძლა. კონფერენციის მიზანი ახალგაზრდებში სამოქალაქო ცნობიერებისა და მოქალაქეობრივი თვითშეგნების ამაღლების ხელშეწყობა და ევროპული გამოცდილების გაზიარება იყო. სამუშაო ჯგუფის ფორმატში, შეხვედრას ქართველი და უცხოელი სტუდენტები დაესწრნენ. ღონისძიებაზე მოხსენებით წარსდგა ჰოლანდიიდან — ევროპარლამენტის ექსპერტი ახალგაზრდული პოლიტიკის საკითხებში — ხერიანა პენინგსი, რომელმაც ისაუბრა ახალგაზრდების როლზე ქვეყნის საზოგადოებრივ -პოლიტიკურ ცხოვრებაში და საქართველოს განვითარების ფონდის წარმომადგენლებს ახალგაზრდული პოლიტიკის კუთხით ევროპული გამოცდილება გაუზიარა.

„ეს არის პირველი საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც „საქართველოს განვითარების ფონდის ინიციატივით ტარდება. ჩვენთვის საინტერესოა, ქვეყნის განვითარების რა ხედვა აქვთ დღეს ახალგაზრდებს. დამეთანხმებით ჩვენს ქვეყანაში მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია და ამიტომაც ძალიან დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ იმ აზრს და ხედვას, რომელსაც დღეს ახალგაზრდები შემოგვთავაზებენ,“ — განაცხადა პაატა ბურჭულაძემ.

ვოლსკი რესპუბლიკელებს შენიშვნებს აძლევს

საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის გია ვოლსკის განცხადებით, რესპუბლიკური პარტიის ზოგიერთი წარმომადგენელი უცნაურ, მკაცრ განცხადებებს აკეთებს, ცუდი ენით, რაც ურთიერთობებზე ცუდად მოქმედებს, მაგრამ ეს მთლიანად პოლიტიკურ ატმოსფეროს არ განაპირობებს.

მისივე თქმით, სახელმწიფოსთან მიმართებაში პოლიტიკური კონიუნქტურა, ვფიქრობ, დადებითია.

მისი თქმით, კოალიციაში შემავალი ყველა სუბიექტი თავის პროგრამას და ხედვებს წარმოადგენს და თუკი ეს იქნება ისეთივე შეჯერებული, როგორც 2011 წელს, კოალიცია ერთად იქნება, ხოლო თუ არის გადაულახავი განსხვავებები, ცალცალკე მოუწევთ არჩევნებზე გასვლა.

„არც ერთ სუბიექტს, მათ შორის, არც ჩვენ — ყველაზე დიდ პარტიას, არ უნდა, რომ განცხადება გააკეთოს ისე, რომ არ ჰქონდეს შეთანხმებული გუნდის წევრებთან, კონფერენციაზე არ იყოს განხილული. ასეა რესპუბლიკური პარტიაც. მათი მთავარი კომიტეტი შეიკრიბება და გადაწყვეტს, როგორ რეჟიმში აგრძელებენ ჩვენთან ურთიერთობას — უნდათ თუ არა ჩვენთან ერთად წინასაარჩევნო ბლოკში გამოსვლა. მაგრამ სანამ ეს სურვილი იქნება გამოხატული ნებისმიერ სუბიექტისგან, მთავარი პოზიციები უნდა გამოიკვეთოს — სად გვაქვს ერთიანობა და სად კომპრომისების მეშვეობით შესაძლოა დავუშვათ ერთიანობა. თუ ეს კომპრომისები არ არის შესაძლებელი, ვერ იქნება ერთიანი ბლოკი წინასაარჩევნოდ. რაც შეეხება კოალიციას, ვფიქრობ, ჩვენ სახელმწიფო ინტერესებს უნდა გავუფრთხილდეთ და ვიყოთ უმრავლესობაში. იქნება ეს უმრავლესობა კოალიციის ფორმატში შენარჩუნებული თუ არაკოალიციურად იქნება უმრავლესობის 88 ადამიანი, უახლოეს დღეებში გვეცოდინება“, — განაცხადა გიორგი ვოლსკიმ.

„რესპუბლიკური პარტია“ „ქართულ ოცნებასაა“ ამოფარებული

„ძვეყნის პოლიტიკური სიჯანსაღისთვის სჯობს, არჩევნებში ყველა პარტიამ დამოუკიდებლად მიიღოს მონაწილეობა და ევროპის პოლიტიკური ცხოვრების წესს მივუახლოვდეთ, — განაცხადა გადაცემა 20/30-ში ფსიქოლოგმა რამაზ საყვარელიძემ.

„ქვეყნისთვის მომგებიანი კოალიციის დაშლაა, რათა მომავალმა პარლამენტმა საზოგადოების პრიორიტეტები რეალურად ასახოს. პარლამენტი საზოგადოებრივი განწყობების პოლიტიკური სახეა. არა მგონია, რესპუბლიკელების გასვლით ივანიშვილის სახელზე აწყობილმა პარტიამ დიდი დანაკარგი მიიღოს, რადგან ივანიშვილი ისევ „ქართული ოცნების“ გვერდით დგას. დღეს „რესპუბლიკური პარტია“ „ქართულ ოცნებასაა“ ამოფარებული და დამოუკიდებელ მოქმედებას და საზოგადოებისთვის თავისი პოზიციის შეთავაზებას რაც უფრო მალე დაიწყებს, მით უკეთესი“. — განაცხადა რამაზ საყვარელიძემ.

გარდაიცვალა „იმერული ესკიზების“ დიდი ბებია ნანა მჭედლიძე

90 წლის ასაკში გარდაიცვალა კინორეჟისორი, სცენარისტი და მსახიობი ნანა მჭედლიძე.

ნანა მჭედლიძე 1926 წელს ხონში დაიბადა. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტი 1956 წელს, სარეჟისორო ფაკულტეტი — 1960 წელს.

მისი რეჟისორობით გადაღებულია ფილმები: „დანაშაული მოხდა“ (1988); „პლიაჟის ავაზაკი“ (1987); „უკვდავების თეთრი ვარდი“ (1985); „იმერული ესკიზები“ (1979); „გასეირნება თბილისში“ (1976); „პირველი მერცხალი“ (1975); „გელა“ (1971); „დიდედები და შვილიშვილები“ (1969); „ღიმილის დაბრუნება“ (1978); „ვიღაცას ავტობუსზე აგვიანდება“ (1967) (ნოველა კინოალმანახში — „ღიმილის დაბრუნება“); „გზაში“ (1964); „აღმაფრენა“ (1964); „ჩქარი მატარებელი“ (1960).

სცენარისტია ფილმებისა — „დანაშაული მოხდა“ (1988); „უკვდავების თეთრი ვარდი“ (1985); „იმერული ესკიზები“ (1979); „გასეირნება თბილისში“, „პირველი მერცხალი“, „ვიღაცას ავტობუსზე აგვიანდება“.

მიღებული აქვს ჯილდოები, პრემიები და პრიზები — თეირანის IV მსოფლიო კინოფესტივალის 2 „ოქროს ვერძი“ — ფრუნზეს საკავშირო კინოფესტივალის მთავარი პრიზი; სოხუმის კინოფესტივალის გრანპრი; ბათუმის კინოფესტივალის გრანპრი; მინსკის საკავშირო კინოფესტივალის გრანპრი; ობერჰაუზენის მსოფლიო კინოფესტივალის გრანპრი; ფლორენციის საერთაშორისო კინოფესტივალის გრანპრი; ღირსების ორდენი.

ატარებდა საქართველოს სახალხო არტისტის წოდებას.

სრულიად საქართველო ელოდება 31 მარტს

„თავისუფალი დემოკრატების“ წევრი გიორგი ცაგარეიშვილი პარლამენტში კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილისგან ლევან იზორიასგან იმ კითხვებზე პასუხს ელოდა, რომელიც მორიგი ფარული ჩანაწერების შესაძლო გავრცელებას და ასევე, რამდენიმე თვის წინ უკრაინულ მედიაში გამოქვეყნებულ იმ ჩანაწერების გამოძიებას უკავშირდება, რომელშიც სავარაუდოდ, ყოფილი მაღალჩინოსნები ფიგურირებენ.

„უსაფრთხოების სამსახურმა პირველ რიგში, იმ საფრთხეებზე უნდა იზრუნოს, რაც ჩვენი ყოველდღიურობის შემადგენელი ნაწილი გახდა, ფაქტობრივად. ეს ის მორალური ტერორია, რომელიც ხორციელდება საზოგადოების წინააღმდეგ.

სრულიად საქართველო ელოდება 31 მარტს. მე მაინტერესებს, ლევან იზორია თუ ელოდება 31 მარტს. ძალიან მნიშვნელოვანია ის საქმე, რომელიც მათ შორის შეეხებოდა „რუსთავი 2“-ის გარშემო აგორებულ სკანდალს, როცა იყო ჩანაწერები გავრცელებული, მათ შორის სააკაშვილის და სხვების, რომლებიც ლამის სახელმწიფო გადატრიალებით იმუქრებოდნენ. მე მახსოვს, ბატონ იზორიას განცხადებები ასევე, რომ საქმე უმოკლეს დროში იქნება გამოძიებული. ზოგიერთი დეპუტატიც დაკითხეს. სად არის ეს საქმე? როგორც ძველი საქმეები, ისევ თაროზე შემოიდო?“ — ამბობს გია ცაგარეიშვილი.

შეგახსენებთ, რომ პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეოჩანაწერების ავტორმა, რამდენიმე ქართველ პოლიტიკოსსა და ჟურნალისტს 31 მარტამდე მისცა ვადა, რათა დატოვონ თანამდებობები და ქვეყანა, წინააღმდეგ შემთხვევაში კი, მათი პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გავრცელებით დაემუქრა.

ერთნაირსქესიანთა ქორწინების საკითხზე, შესაძლოა, რეფერენდუმი ჩაბარდეს

„ცესკომ დღევანდელ სხდომაზე რეგისტრაციაში გაატარა ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფი (შემადგენლობა: ზურაბ თოლორაია, გიორგი ყორღანაშვილი, კახა ნიქაბაძე, ბადრი კვირიკაშვილი, პეტრე გოგოსაშვილი, თეიმურაზ ცისკარიშვილი, დავით კუჭავა) და მათ მიერ სარეფერენდუმოდ წარმოდგენილი საკითხი — „გინდათ თუ არა, რომ ერთნაირსქესიანთა ქორწინება დაშვებულ იქნას საქართველოში?“, — ნათქვამია ცესკოს ვებგვერდზე განთავსებულ ინფორმაციაში და აღნიშნულია, რომ ცესკომ უარი თქვა საინიციატივო ჯგუფის მიერ შეთავაზებულ რამდენიმე სარეფერენდუმო საკითხზე.

უარი ეთქვათ რეგისტრაციაზე ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის შემდეგ შემადგენლობებსა და მათ მიერ შემოთავაზებულ სარეფერენდუმო საკითხებს:

„თანახმა ხართ თუ არა ქართული ჯარის ნაწილები მსახურობდნენ საზღვარგარეთ?“ (საინიციატივო ჯგუფი შემადგენლობით: ზურაბ თოლორაია, გიორგი ყორღანაშვილი, კახა ნიქაბაძე);

„უნდა გამოცხადდეს თუ არა დასაქმება ქვეყანაში გადასაჭრელ უპირველეს პრობლემად?“ (საინიციატივო ჯგუფი შემადგენლობით: ზურაბ თოლორაია, გიორგი ყორღანაშვილი, კახა ნიქაბაძე);

„თანახმა ხართ თუ არა, რომ საქართველოს პარლამენტი შედგებოდეს 61 (სამოცდაერთი) წევრისგან?“ (საინიციატივო ჯგუფი შემადგენლობით: თეიმურაზ ცისკარიშვილი, ბადრი კვირიკაშვილი, დავით კუჭავა, ზურაბ თოლორაია, გიორგი ყორღანაშვილი);

„უნდა ჰქონდეს თუ არა ამომრჩეველს მის მიერ არჩეული თანამდებობის პირის გამოწვევის უფლება?“ (საინიციატივო ჯგუფი შემადგენლობით: თეიმურაზ ცისკარიშვილი, ბადრი კვირიკაშვილი, დავით კუჭავა, ზურაბ თოლორაია, გიორგი ყორღანაშვილი);

„გინდათ თუ არა, რომ საქართველო გამოცხადდეს ნეიტრალურ (მიუმხრობელ) ქვეყნად?“ (საინიციატივო ჯგუფი შემადგენლობით: ზურაბ თოლორაია, გიორგი ყორღანაშვილი, კახა ნიქაბაძე, ბადრი კვირიკაშვილი, პეტრე გოგოსაშვილი);

„თანახმა ხართ თუ არა პარლამენტი გადმოტანილ იქნას თბილისში?“ (საინიციატივო ჯგუფი შემადგენლობით: თეიმურაზ ცისკარიშვილი, ბადრი კვირიკაშვილი, დავით კუჭავა, რევაზ ფახურიძე);

„თანახმა ხართ თუ არა, რომ სკოლებში ისწავლებოდეს საგანი „მე და საზოგადოება?“ (საინიციატივო ჯგუფი შემადგენლობით: თეიმურაზ ცისკარიშვილი, ბადრი კვირიკაშვილი, დავით კუჭავა, ზურაბ თოლორაია, გიორგი ყორღანაშვილი, რევაზ ფახურიძე);

„თანახმა ხართ თუ არა პარტიებმა და პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა 5 წლით შეაჩერონ თავიანთი საქმიანობა?“ (საინიციატივო ჯგუფი შემადგენლობით: თეიმურაზ ცისკარიშვილი, ბადრი კვირიკაშვილი, დავით კუჭავა, ზურაბ თოლორაია, გიორგი ყორღანაშვილი, რევაზ ფახურიძე)“, — ნათქვამია ცესკოს ინფორმაციაში.

საქართველოს ევროკავშირთან ასოციირების შეთანხმება?

2014 წლის ივნისში ხელი მოეწერა, „ერთი მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და, მეორე მხრივ, საქართველოს შორის ასოციირების შესახებ“ შეთანხმებას, რომელიც მოიცავს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DC FTA) კომპონენტს. აღნიშნული ხელშეკრულების რატიფიცირება საქართველომ და ევროკავშირის ყველა წევრმა სახელმწიფომ უკვე მოახდინეს.

დოკუმენტის ამოქმედების შემდეგ უამრავი მითი წარმოიშვა საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობის და ქვეყნის მომავლის შესახებ, რასაც ხელი შეუწყო მეზობელი ქვეყნების ძლიერმა პროპაგანდამაც. „აქცენტი“ გთავაზობთ ამ მითებსა და რეალობას.

მითი 1: ასოციირების შეთანხმება საქართველოს ეკონომიკას დააზარალებს

კვლევის თანახმად, ევროკავშირ-საქართველოს შორის ასოციირების შეთანხმების განხორციელება ხელს შეუწყობს ქვეყნის მშპ-ის 4.3 პროცენტით დამატებით ზრდას. ევროკავშირთან შეღავათიანი სავაჭრო შეთანხმებების ყველა პარტნიორმა ქვეყანამ (სამხრეთ აფრიკა, მექსიკა, ჩილე, მაროკო, და ა.შ.) მიიღო სარგებელი ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტის გაფართოებით და ამ ქვეყნების ვაჭრობის ზრდის მაჩვენებელმა საშუალო გრძელვადიან პერიოდში ორნიშნა მაჩვენებელს მიაღწია.

შეთანხმება საქართველოს ეკონომიკას მისცემს შესაძლებლობას, წამოეწიოს ევროკავშირს კონკურენტუნარიანობის თვალსაზრისით და ამის შედეგად დროთა განმავლობაში დაიმკვიდროს ადგილი მსოფლიო ეკონომიკაში. ეს შექმნის ახალ შესაძლებლობებს არა მარტო ევროკავშირსა და საქართველოს შორის, არამედ ევროკავშირის ნორმებისა და სტანდარტების მსოფლიო მასშტაბით აღიარების წყალობით საქართველოს მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან ვაჭრობაშიც.

აღნიშნული სტანდარტების დაკმაყოფილება ქართველ მომხმარებლებს ბევრად დიდი არჩევანის შესაძლებლობას მისცემს, უზრუნველყოფს უფრო მაღალი ხარისხის პროდუქციას და საქართველოს უცხოელი ინვესტორებისათვის უფრო მიმზიდველს გახდის.

საგულისხმოა, რომ ქართული ექსპორტის 20 პროცენტი ევროკავშირის ქვეყნებში ხორციელდება, რაც მეტყველებს ქართული კომპანიების უნარზე, ადაპტირება მოახდინონ ევროკავშირის სტანდარტებთან და განახორციელონ ექსპორტი.

ევროკავშირის ბაზარი მსოფლიოში უდიდესია, დაახლოებით 500 მლნ. მაღალი მსყიდველობითუნარიანი მოსახლეობით. ამდენად, ნათელია, რომ ასოციირების შეთანხმებით საქართველო გაცილებით მეტ სარგებელს მიიღებს, ვიდრე თავად ევროკავშირი.

მითი 2. საქართველო ევროპულ ბაზარზე გასვლას ვერ შეძლებს

ამ მითის თანახმად, ქართული კომპანიები ვერ დააკმაყოფილებენ ევროკავშირის სტანდარტებსა და რეგულაციებს, შესაბამისად, გართულდება ევროკავშირში ექსპორტის განხორციელება. ამავდროულად, ადგილობრივი კომპანიები შიდა ბაზარზე ვერ გაუწევენ კონკურენციას ევროპულ კომპანიებს.

სინამდვილეში, ევროკავშირის რეგულაციებთან დაახლოება განხორციელდება თანმიმდევრულად, რამდენიმე წლის განმავლობაში. ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელების პროცესში საქართველო დანერგავს ევროკავშირის სტანდარტებს, რაც საშუალებას მისცემს ქართულ კერძო კომპანიებს, აწარმოონ მაღალი ხარისხის პროდუქცია. ეს გახდება დამატებითი ფაქტორი დარგობრივი ინვესტიციების მოსაზიდად და მსოფლიო ბაზარზე ქართული კომპანიების კონკურენტუნარიანობის გასაზრდელად.

მითი 3. ევროკავშირთან უვიზო რეჟიმის დანესება საქართველოდან მოსახლეობის გადინებას გამოიწვევს

ამ მითის თანახმად, ევროკავშირთან ასოციირების შესახებ შეთანხმება და უვიზო მიმოსვლა გამოიწვევს საქართველოდან შრომითი რესურსების, მათ შორის კვალიფიციური მუშახელის ევროკავშირის ქვეყნებში გადინებას.

რეალურად, ასოციირების შესახებ შეთანხმების არც ერთი დებულება, რომელიც გარკვეულწილად კავშირშია ევროკავშირის ქვეყნებში საქართველოს მოქალაქეების გადაადგილებასთან, არ ითვალისწინებს ამ ქვეყნებში საქართველოს მოქალაქეების მუდმივი ბინადრობისა და დასაქმების შესაძლებლობას.

გარდა ამისა, საქართველოსა და ევროკავშირს შორის სავიზო რეჟიმის გამარტივების შესახებ ხელშეკრულება, რომელიც ძალაში შევიდა 2011 წლის მარტიდან, ამარტივებს ვიზის მიღების პროცესს გარკვეული კატეგორიის მოქალაქეებისთვის და არაფერი აქვს საერთო ევროკავშირის ქვეყნებში საქართველოს მოქალაქეების დასაქმებასთან.

ამასთან ერთად, უვიზო მიმოსვლის პერსპექტივა იძლევა ევროკავშირის ქვეყნებში ვიზის გარეშე (სხვა მოთხოვნების დაკმაყოფილების, მათ შორის ბიომეტრიული პასპორტები) მხოლოდ მოგზაურობის შესაძლებლობებს.

> **ასოციირების შესახებ შეთანხმების არც ერთი დებულება, რომელიც გარკვეულწილად კავშირშია ევროკავშირის ქვეყნებში საქართველოს მოქალაქეების გადაადგილებასთან, არ ითვალისწინებს ამ ქვეყნებში საქართველოს მოქალაქეების მუდმივი ბინადრობისა და დასაქმების შესაძლებლობას.**

მითი 4. ასოციირების შესახებ შეთანხმება აიძულებს საქართველოს, დაუშვას ერთნაირსქესიანთა ქორწინება

ერთნაირსქესიანთა ქორწინება არ წარმოადგენს ევროკავშირის წევრობის მოთხოვნას და არაფერი აქვს საერთო ევროკავშირის კანონმდებლობასთან. ევროკავშირის წევრ ქვეყნებს გააჩნიათ სხვადასხვა ხედვა ამ საკითხთან დაკავშირებით: მხოლოდ რამდენიმე ქვეყანა სცნობს ერთნაირსქესიანთა ქორწინებას, ხოლო უმრავლესობა, მათ შორის კვიპროსი, ესტონეთი, საბერძნეთი, მალტა, რუმინეთი, სლოვაკეთი მას არ სცნობენ. მეტიც, ერთნაირსქესიანთა ქორწინება კონსტიტუციით არის აკრძალული ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა ბულგარეთი, ხორვატია, ლატვია, ლიტვა და პოლონეთი.

მითი 5. ასოციირების შეთანხმება და საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების „დისკრიმინაცია“

ამ მითის თანახმად, შეთანხმებამ შეიძლება გამოიწვიოს საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების იზოლირება და მიგვიყვანოს სეპარატიზმისკენ მიმართულ მცდელობებთან. სინამდვილეში, ასოციირების შეთანხმება აქტიურად უჭერს მხარს დისკრიმინაციის არარსებობას და მაქსიმალურად უწყობს ხელს უმცირესობათა დაცვას. იგი აღიარებს უმცირესობების მნიშვნელოვან როლს ეროვნული ერთიანობის გრძნობის გაღრმავების საქმეში. საქართველოში მცხოვრები ყველა ადამიანისთვის ცხოვრების დონის ამაღლების წყალობით ასოციირების შესახებ შეთანხმება მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ეროვნულ ერთიანობაში.

მითი 6. ასოციირების შეთანხმება გაართულებს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას

შეთანხმება არანაირად არ აქეზებს საქართველოს რუსეთის წინააღმდეგ. პირიქით, ის მიზნად ისახავს, ხელი შეუწყოს რეგიონში სტაბილურობას და თანამშრომლობას. მეტიც, ასოციირების შეთანხმებამ შეიძლება, ხელი შეუწყოს კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარებასაც. არსებობს საფუძვლიანი იმედი, რომ დროთა განმავლობაში ამ შეთანხმების უპირატესობით სარგებლობას აფხაზები და ოსებიც შეძლებენ.

მითი 7. ასოციირების შეთანხმების გამო საქართველო რუსეთში პროდუქციის ექსპორტს ვერ შეძლებს

ამ მითის თანახმად, ევროპული სტანდარტების მიღების გამო საქართველოს ტრადიციულ ექსპორტს რუსეთში ძირი გამოეთხრება. სინამდვილეში, ევროკავშირის სტანდარტები არასოდეს ყოფილა რუსეთში ან ნებისმიერ სხვა ქვეყანაში ექსპორტის ხელისშემშლელი ფაქტორი, როგორც ამას ადასტურებს ევროკავშირის კომპანიების და იმ სხვა მწარმოებლების გამოცდილება, რომლებიც ევროკავშირის ნორმებსა და სტანდარტებს იცავენ. ამიტომ არ არსებობს ობიექტური მიზეზი იმისა, რომ ევროკავშირის სტანდარტებმა ქართული კომპანიებისთვის წარმოქმნას პრობლემები.

იმ ქართულ კომპანიებს, რომლებიც უკვე ახდენენ პროდუქციის ექსპორტირებას რუსულ ბაზარზე, შეუძლიათ, განაგრძონ ეს საქმიანობა, მას შემდეგაც კი, რაც განხორციელდება ასოციირების შესახებ შეთანხმება – თუ მათ ამაში პოლიტიკურად მოტივირებული აკრძალვები და შეზღუდვები არ შეუშლის ხელს.

მითი 8. ასოციირების შეთანხმება ხაზს გაუსვამს საქართველოს სწრაფვას, აღადგინოს ტერიტორიული მთლიანობა

ამ მითის თანახმად, ევროკავშირში გაწევრების სურვილის შემთხვევაში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე უარის თქმა მოუწევს. რეალურად, ასოციირების შეთანხმების ეფექტიანი განხორციელების შემდეგ საქართველოს მიერ ევროკავშირში გაწევრებაზე განაცხადის გაკეთება არ უკავშირდება აფხაზებთან და ოსებთან შერიგებაზე უარის თქმას.

ასოციირების შეთანხმებაში ერთმნიშვნელოვნად აღნიშნულია, რომ ევროკავშირი პატივს სცემს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში. შეთანხმება ასევე ითვალისწინებს ევროკავშირის უფრო აქტიურ ჩართულობას კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პროცესში.

ასოციირების შესახებ შეთანხმების ეფექტიანი განხორციელებისა და ევროკავშირში გაწევრებაზე საქართველოს მიერ სურვილის გაცხადების შემთხვევაში არ არსებობს არანაირი საფუძველი იმისა, რომ ევროკავშირმა შეცვალოს ზემოაღნიშნული დამოკიდებულება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მიმართ და, შესაბამისად, გაწევრების სანაცვლოდ საქართველოს ამაზე უარის თქმა მოუწიოს.

სულხან ერისთავი.

„მე ვლობირებდი იდეას, რაც ქვეყნის თავდაცვას, უსაფრთხოებას მოემსახურებოდა“

ამის შესახებ თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ ირაკლი სესიაშვილმა გუშინ თბილისის საქალაქო სასამართლოში დაკითხვის დასრულების შემდეგ განაცხადა. მისი შეფასებით, საუბარი იმაზე, რომ მას გარკვეული სხვა ინტერესებიც ჰქონდა – „უსინდისობაა“.

რაც შეეხება, კომპანია „სპეცკავშირმშენის“ წარმომადგენლის ავთანდილ ჭოლოკავას სპეცსამსახურებთან კავშირს, სესიაშვილის თქმით, ეს გამოძიებით არ დადასტურებულა. „როგორც ჩანს, შემოწმებისგან თავი შეიკავეს, რადგან ნახეს, რომ დაშვება ჰქონდა საიდუმლო ინფორმაციაზე და ბევრი პროექტი ჰქონდა განხორციელებული. ეს არგუმენტი თითიდან გამოწოვილია. მე მიმაჩნია, რომ არასწორი იყო, როცა ამ პროექტს უარი ეთქვა, რადგან სახელმწიფო, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვან ხარჯებს დაზოგავდა“, – განაცხადა ირაკლი სესიაშვილმა.

უუფ, ნადეჟდა სავჩენკო უნდა მეთქვა – ანჯელა დევისი პოლიტპატიმარი იყო გასული საუკუნის 70-იანი წლების ამერიკაში. „ჩვენი“ ნადეჟდა სავჩენკოც „პოლიტპატიმარია“, ოღონდ პუტინის თანამედროვე რუსეთში, ჰოდა, ჩვენც მოფერებით ანჯელა დევისს ვეძახით...

მკითხველი, ალბათ, მიხვდა, რომ წერილის საწყისი პასაჟი პერიფრაზია მშვენიერი ქართული ფილმიდან, „სინათლე ჩვენს ფანჯრებში“, ერთი ეპიზოდისა – სწორედ გერასიმე „ბელაფონტე“ გამახსენდა, როდესაც რუსეთის ყოფილ საელჩოსთან გამართულ ნადეჟდა სავჩენკოს მხარდამჭერ საპროტესტო აქციის კადრებს ვუყურებდი, რომელიც სუხიშვილების ხორუმით დამთავრდა.

ხორუმით, რომელმაც, პირველად ჩემს სიცოცხლეში, აღტაცების ნაცვლად სირცხვილის გრძნობა მომგვარა – ვის იცავ, ვისგან, რატომ და რისთვის, შვილო, რა გესავჩენკოება, როდესაც ქვეყანა თავზე გვენგრევა?

თუმცა, ამაზე ქვემოთ. მანამდე კი, როგორც ახლაა მოდაში ახალი სიტყვა, ვიკიპედია...

თავისუფლება – ანჯელა დევისს!

ანჯელა დევისი და ჩემი ჯეელობა, განუყოფელი რამ არის – ყოველი დილა ანჯელას განთავისუფლების მოთხოვნით იწყებოდა და ყოველი დღე ამითვე მთავრდებოდა სსრკ-ში, რომელიც ანჯელა დევისის სახელს აშშ-ის წინააღმდეგ მიმართულ კონტრპროპაგანდად იყენებდა – იმართებოდა „აღშფოთებულ“ საბჭოთა მოქალაქეთა კრებები საწარმო-დაწესებულებებში, იგზავნებოდა კოლექტიური საპროტესტო წერილები ამერიკაში, თანაგრძნობის წერილებს უგზავნიდნენ საბჭოთა ბავშვები ანჯელა დეიდას და ა.შ. სხვა მრავალი, რაც რეალური თანაგრძნობის ნაცვლად, მხოლოდ ირონიულ ღიმილს იწვევდა ჩვენში, საბჭოთა ახალგაზრდებში, რადგანაც აშშ მიწიერი სამოთხე გვეგონა მაშინ და აქედან, ამ სამოთხის მოქალაქის ბრძოლას საკუთარი ქვეყნის წინააღმდეგ, მხოლოდ იმით ვერ ვხსნიდით, რომ ანჯელა დევისი აშშ-ის კომპარტიის წევრი იყო. უფრო იქითკენ ვიხრებოდით, რომ „საკუთარ მატორზე ვერ იყო“ ეს დედაკაცი...

არადა ეს უაღრესად განათლებული ქალბატონი, სოციოლოგი, პუბლიცისტი, უწინარესად, რასობრივ დისკრიმინაციას ებრძოდა, შავკანიანთა უფლებებს იცავდა, სეგრეგაციის წინააღმდეგ ილაშქრებდა (დიახ, ახლა რომ დემოკრატიას ასწავლიან მთელს მსოფლიოს, სულ რაღაც 50-60 წლის წინათ, ჯიშიან ძაღლებს უფრო პატივით ეპყრობოდნენ ამერიკაში, ვიდრე „უჯიშო“ აფრო-ამერიკელებს) და ამიტომაც ჩასვეს ციხეში ანჯელა დევისი, რომელიც მთელმა ცივილიზებულმა სამყარომ და არა მხოლოდ საბჭოეთმა, სინდისის, ანუ, პოლიტპატიმრად აღიარა!

1979 წელს საერთაშორისო ძალისხმევის შედეგად განთავისუფლებული ქალბატონი ანჯელა კრემლსაც ეწვია, სადაც იგი ლეონიდ ბრეჟნევმა ლენინური პრემიით დააჯილდოვა...

მოდით ახლა თავი დავანებოთ ამერიკელ ანჯელას, რომლის გახსნებაც მხოლოდ ნადეჟდა სავჩენკოს მიმართ პარალელების გასავლებად დაგვჭირდა...

აქაც აშკარა საბჭოური ხელოვნურობა, მანკიერი კოლექტივიზმი და ვის დასაცავად?

უკეთეს შემთხვევაში, სინდისის უსინდისო პატიმრის, რეალურად კი უკრაინელი ფაშისტის, რომელსაც ბრალი კონკრეტული სისხლის სამართლის დანაშაულში ედება – რუსი კოლეგა ჟურნალისტების მკვლელობების ორგანიზება. რისთვისაც რუსეთის სასამართლომ „პოლიტპატიმარ“ ალქაჯს (სასამართლოს დარბაზში მისი ქმედებებიდან გამომდინარე, სხვას ვერაფერს უწოდებ), 22 წელიწადი მიუსაჯა.

პუტინის პირადი პატიმარი – ასე მონათლეს სააკაშვილის ნაცებმა აშკარა მკვლელი დედაკაცი და ამ მორიგ შანტაჟს დაემორჩილა ქოცების ხელისუფლება. დიახ, მორიგს, რადგანაც 4 წელიწადია, სააკაშვილის ნაცები აშანტაჟებენ ბიძინა ივანიშვილის ლიბერალ ქოცებს და, როგორც მინიმუმ, საგარეო პოლიტიკა სააკაშვილის ნაცების სცენარით იმართება!

იმ სააკაშვილის ნაცები მოთქვამენ პუტინის „პირად პატიმარზე“, რომელთაც პირად პატიმრად ჰყავდათ ლამის მთელი საქართველოს მესამედი!

თუმცა, თავი ვანებოთ ზნეობრივ-მორალურ კატეგორიებს და რამდენიმე კითხვა დავსვათ:

კი, ბატონო, რაც უნდათ, ის უწოდონ პუტინს, ოკუპანტი, დიქტატორი და ა.შ. მაგრამ უტვინობას ნამდვილად ვერავინ დასწამებს რუსეთის პრეზიდენტს და სად არის მაშინ ლოგიკა, ელემენტარული საღი აზრი იმაში, რომ ნადეჟდა სავჩენკო უდანაშაულოდ დააპატიმრეს?

პუტინს სხვა „თავის ტკივილები“ აკლია საერთაშორისო არენაზე (სირიაში იქნება ეს, უკრაინასა თუ ყირიმში), რომ სავჩენკოს სახით ახალი დამატებითი პრობლემა არ გაეჩინა?

დავუშვათ, ნადეჟდა სავჩენკო ცამდე მართალი, უმანკო კრავია – აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჯონ ქერიმ ვერ გაბედა პუტინის წინაშე ნადეჟდა სავჩენკოზე ისეთი კატეგორიულობით საუბარი, როგორი აგრესიულობითაც ჩვენ, ქართველები ვმართავთ საპროტესტო აქციებს რუსეთის საელჩოსთან და რისი და ვისი იმედით!

სიტყვამ მოიტანა და ჯონ ქერის ბოლო ვიზიტი მოსკოვში ცალკე საუბრის თემაა...

სტატუსით აშშ-ის სახელმწიფო მდივანს მხოლოდ მისი რუსი კოლეგა, საგარეო საქმეთა მინისტრი ლავროვი უნდა შეხვედროდა, მაგრამ, როგორც გაირკვა ბარაკ ობამას ტელეფონით პირადად უთხოვნია პუტინისთვის, რომ ჯონ კერის შეხვედროდა და შეხვდა კიდეც, სადაც დახურულ კარს მიღმა 4 (!!!) საათი ისაუბრეს და როგორ გგონიათ რაზე, საქართველოში გამართულ საპროტესტო აქციის შესახებ?

თუ გავიხსენებთ ე.წ. საპროტოკოლო, ჟურნალისტებისთვის განკუთვნილი საუბრის შინაარსს, სადაც ჯონ ქერიმ მხოლოდ წაიკნავლა ყირიმის თემაზე (სავჩენკო საერთოდ არ უხსენებია) და იმასაც, რომ ქერისავე განცხადებით თურმე ახლა აშშ-ს უკეთ ესმის პუტინის მოქმედებებისა სირიაში (ასეა, აშშ მხოლოდ ძალას სცემს პატივს და მხოლოდ ძალის დემონსტრირების შედეგად ეხსნება უკეთ სასმენი ორგანოები)... სავარაუდოდ, ვერც პირისპირ შეხვედრაზე იქნებოდა ჯონ ქერი უფრო გაბედული!

რაც შეეხება საქართველოს, ალბათ ჩვენზედაც იქნებოდა გაკვრით, ანუ, რუსული იდიომის მიხედვით, როგორც „Разменная монета“-ზე საუბარი და სავარაუდოდ ეს „ხურდა ფული“ ვლადიმერ პუტინს უფრო ერგებოდა, ვიდრე ბარაკ ობამას!

ვლადიმერ პუტინს, რომელიც ამ ბოლო დროს, როგორც თავის დროზე იოსებ სტალინი, რუსეთის საზღვრებს თითქმის არასოდეს ტოვებს, მაგრამ მსოფლიო გეოპოლიტიკა თავიდან ბოლომდე რუსეთის სცენარით თუ არა, ადრე სტალინთან და ახლა ვლადიმერ პუტინთან შეთანხმებით რომ იმართებოდა და იმართება, ფაქტია, ევროპა-ამერიკის ლიდერები, რომლებიც სულ ცოტა ხნის წინათ ვლადიმერ პუტინისთვის ხელის ჩამორთმევას გაურბოდნენ, ახლა ერთმანეთს ასწრებენ კრემლში აუდენციის მისაღებად სირბილს!

ზემორე თქმულიდან გამომდინარე კვლავ ვიმეორებ:

რა გინდა შვილო, რას და ვის სასარგებლოდ აპროტესტებ?

თუნდაც პუტინის პირადი პატიმარი იყოს სავჩენკო, რას უშველი შენ? პუტინის პირად პატიმრებს ეძახდნენ იმ კახპების როკ-ანსამბლს, რომლის წევრებმაც მართლმადიდებელი ეკლესიის საკურთხეველი წაბილწეს მოსკოვში, მაგრამ მსოფლიო ნეოლიბერალთა პროტესტის პარალელურად, მათ თვით სერ პოლ მაკარტნის, ლეგენდარული „ბიტლების“ სოლისტის პუტინის მიმართ თხოვნამაც ვერ უშველათ და მანამდე ახეხინეს „ვირის აბანო“, სადამდეც საჭიროდ ჩათვალა რუსეთის ხელისუფლებამ, ჰოდა, საქართველო ვის და სად დაეკარგა, პერანგიდან რომ „ხტებიან“ ჩვენი ნეოლიბერალი ხლისტები?

ნუთუ ელემენტარული პრაგმატიზმი არა გვაქვს ქართველებს, ანუ ლავირების უნარი, რითიც ავად თუ კარგად, დღემდე მოგვიტანეს ჩვენმა წინაპრებმა საქართველო?

მერე დადგებიან ჩვენი პოლიტიკოსებად წოდებული პოლიტიკანები და ერთხმად შესჩივიან აშშ-ის საელჩოს, არიქა, კარასინი დაგვემუქრა, გვიშველეთო!

ვისთან მიდიან საჩივლელად, ვისგანაც იმართება ორკესტრირებულად ყველაფერი ეს... და არა მხოლოდ ეს?

თავად ვერაფერს უბედავენ ძალმოსილებისა და პოპულარობის (და არა მხოლოდ რუსეთში) ზენიტში მყოფ ვლადიმერ პუტინს და რუსეთთან საჩიჩხინოდ ჩვენ გვაქეზებენ. საჩიჩხინოდ, რითაც სკამზე დადებულ ჭიკარტზე და ჯდომით გამოწვეულ დისკომფორტზე მეტი ზიანი არ ადგება რუსეთს!

ამ მიმართებით კიდევ ერთი იდიომად ქცეული, უინსტონ ჩერჩილის ფრაზა გამახსენდა:

ინგლისს არა ჰყავს მუდმივი მტრები და მეგობრები, მას მხოლოდ მუდმივი ინტერესები გააჩნია!

ჩვენ კი რას ვაკეთებთ?

არავითარი საკუთარი სახელმწიფოებრივი ინტერესები, ყოველთვის აშშ-ის დაკრულზე ცეკვა, ამჯერად პირდაპირი მნიშვნელობითაც, რუსეთის საელჩოსთან ხორუმის როკვით!

მუდმივ, ისტორიულ მტრად ერთმორწმუნე რუსეთი შევრაცხეთ! – უმადურობა და საყოველთაო დიპლომატიური კრახია ეს!

ამ გულისწყრომიდან გამომდინარე, კვლავ მინდა, განვაცხადო, რომ თუ მომავალ არჩევნებში ისევ ნეოლიბერალ ხლისტებს დარჩებათ ბურთი და მოედანი, საქართველო დაიღუპება!

თუმცა ვინ იცის, არჩევნებამდე დიდი დროა, იქნება ვცდები?

ჰოდა, მანამდე ყოველი შემთხვევისთვის ვიყვიროთ:

თავისუფლება – ანჯელა დევისს!

უუფ, უკაცრავად, ნადეჟდა სავჩენკო უნდა მეთქვა და კიდევ რომ არ შეგვეშალოს მოდით კომპრომისულ ვარიანტზე შევთანხმდეთ:

თავისუფლება – ანჯელა სავჩენკოს!

თანაც ხორუმი, ხორუმი არ დაგვავიწყდეს...

დავით მხეიძე

ვლადიმერ პუტინს, რომელიც ამ ბოლო დროს, როგორც თავის დროზე იოსებ სტალინი, რუსეთის საზღვრებს თითქმის არასოდეს ტოვებს, მაგრამ მსოფლიო გეოპოლიტიკა თავიდან ბოლომდე რუსეთის სცენარით თუ არა, ადრე სტალინთან და ახლა ვლადიმერ პუტინთან შეთანხმებით რომ იმართებოდა და იმართება, ფაქტია, ევროპა-ამერიკის ლიდერები, რომლებიც სულ ცოტა ხნის წინათ ვლადიმერ პუტინისთვის ხელის ჩამორთმევას გაურბოდნენ, ახლა ერთმანეთს ასწრებენ კრემლში აუდენციის მისაღებად სირბილს!

საყვარელიძე გაათავისუფლეს, ახლა მიშას რიგია!

უკრაინის გენერალური პროკურორის მოადგილე დავით საყვარელიძე თანამდებობიდან გაათავისუფლეს. ინფორმაცია ამის შესახებ უკრაინის გენერალური პროკურატურის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

მასში ნათქვამია, რომ ბოლო პერიოდში პროკურატურამ დეპუტატთა არაერთი კოლექტიური მიმართვა მიიღო, რომლის თანახმად, საყვარელიძის თანამდებობა და დღის განრიგი პროკურატურის შესახებ კანონს არ შეესაბამება. პროკურატურის განცხადებით საყვარელიძის გათავისუფლება უკავშირდება მის მიერ საპროკურორო ეთიკის უხეშ დარღვევას, ასევე სხვა პროკურორის საქმიანობაში ჩარევას.

* * *

დავით საყვარელიძე უკრაინის გენერალური პროკურორის მოადგილის თანამდებობიდან გათავისუფლებასთან დაკავშირებით აცხადებს, რომ იმ პირების გათავისუფლება, ვინც ებრძვის კორუფციას, არის სიგნალი იმისა, რომ უკრაინაში რეფორმები არავის სჭირდება. გენერალური პროკურორის ყოფლმა მოადგილემ ამის შესახებ დღეს პრესკონფერენციაზე ისაუბრა.

„როგორც იცით, გუშინ გენერალურმა პროკურორმა გამათავისუფლა მისი მოადგილის და ოდესის პროკურორის თანამდებობიდან. მათ ამის მიზეზად დაასახელეს პროკურორის ეთიკის უხეში დარღვევა. მე მინდა ღიად განვაცხადო: დიახ, მე დავარღვიე პროკურორის ეთიკა. მაგრამ დავარღვიე ამ ტერმინის მათი გაგებით. მათი აზრით პროკურორის ეთიკა ეს არის ქურდობა და კორუფცია. ეს ეთიკა მე დავარღვიე და ყოველთვის დავარღვევ. ჩემი დანიშვნის პირველივე დღიდან მე დაკავებული ვიყავი მუდმივი ბრძოლით ზუსტად ეთიკის ასეთ წესებთან“, – დამოძღვრა უკრაინელი ხალხი საყვარელიძემ.

◎ ქარიშხალი ჭიქაში

როგორი ემოციები გამოიწვია საქართველოში ბალერინა რაისა სტრუჩკოვას ხსოვნის საღამომ?!

ცნობილმა ქართველმა ბალერინამ ნინო ანანიაშვილმა მონაწილეობა მიიღო საღამოში, რომელიც თავისი პედაგოგის — სსრ კავშირის სახალხო არტისტის რაისა სტრუჩკოვა-ლაფაურის დაბადების 90 წლისთავს მიეძღვნა. წარმოდგენა რუსეთის დედაქალაქ მოსკოვში გაიმართა, დიდი თეატრის სცენაზე. თავისი აღმზრდელის ხსოვნის აღსანიშნავად ნინო ანანიაშვილი გამოვიდა რეჟისორად საღამოსი, რომელზეც თავისი ქართული საბალეტო ჯგუფიც წარმოადგინა.

ნ. ანანიაშვილმა დაამთავრა მოსკოვის ქორეოგრაფიული სასწავლებელი და 1981 წელს მიიღეს დიდი თეატრის დასში, სადაც მისი პედაგოგი გამოჩენილი ბალერინა რ.სტრუჩკოვა იყო.

„წელს სრულდება რაისა სტეფანეს ასულ სტრუჩკოვას დაბადების 90 წელი, და მე განსაკუთრებული გრძნობით მოვემზადები მისი საიუბილეო საღამოსთვის, — უთხრა მოსკოვში გამგზავრების წინ ნინო ანანიაშვილმა ჟურნალისტებს. **— ესაა ჩემი მოვალეობა ჩემთვის ძვირფასი ადამიანის წინაშე, რომელიც იყო არა მხოლოდ ჩემი პედაგოგი, არამედ ჩემი რუსი დედაც“.**

ნათქვამს დავუმატებდით, რომ რუსეთის ფედერაციის დედაქალაქში ქართული საბალეტო დასის ჩასვლა და მისი გამოსვლა მოსკოვის დიდი თეატრის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სცენაზე მთლიანად დააფინანსა რუსეთის მხარემ.

ვინმეს ეს შეიძლება შესაქცევად მოეჩვენოს, მაგრამ თბილისის ზოგიერთ წრეში აწრიალდნენ: როგორ შეიძლებოდა მოსკოვში გეცეკვა 25 თებერვალს, როდესაც საქართველოში საბჭოთა ოკუპაციის დღე აღინიშნებოდა. ხომ არაა ეს თავისებური დემარში ცნობილი ბალერინას მხრიდან? ერთ-ერთმა პირველებმა ეს საკითხი ტელეარხ „რუსთავი-2“-ის კორესპონდენტებმა დასვეს, რომლებმაც უმალვე დარეკეს მოსკოვში და საქართველოდან საბალეტო დასის ხელმძღვანელებს მიაყარეს შეკითხვები: „როგორ? რატომ? რისთვის?“ მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, არანაირი საშინელება არ მომხდარა. ნინო ანანიაშვილის გამოსვლას მოსკოვის დიდ თეატრში სწორედ 25 თებერვალს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა დავით კინწურაშვილმა შემთხვევითი დამთხვევა უწოდა. „ესაა კულტურა, ესაა ქართული ხელოვნება, ესაა ნინო ანანიაშვილი, რომელიც ამ სცენაზე იყო ძალიან წარმატებული, და ვართ მეტად ბედნიერები, რომ აქ გამოვდივართ“, — განაცხადა კინწურაშვილმა „რუსთავი-2“-თან ტელეფონით საუბარში.

პრიმა-ბალერინამაც, ქართული საბალეტო დასის ხელმძღვანელმა ნინო ანანიაშვილმაც გააკეთა თავისი განმარტება. მისი სიტყვებით, კონცერტი დიდ თეატრში, მიძღვნილი რაისა სტრუჩკოვასადმი, დაიგეგმა ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ. **„უბრალოდ, ეს თარიღები დაემთხვა ერთმანეთს. მე არც მიფიქრია ამის შესახებ“,** — აღნიშნა ნინო ანანიაშვილმა.

აი, ასეთი აღმოჩნდა ქარიშხალი ჭიქაში...

როდესაც ეს ინფორმაცია იწერებოდა, საქართველოს მასმედიამ გადმოსცა ცნობა უნიკალური ოპერაციის შესახებ, რომელიც თბილისელ ავადმყოფ ბიჭს გაუკეთეს ნეიროქირურგებმა ტიუმენიდან. 25 თებერვლის „სამგლოვიარო“ თარიღის გულმხურვალე დამცველთა საყურადღებოდ: ტიუმენი რუსეთის ქალაქია, ამასთან დაკავშირებით საინტერესო იყო გვეკითხა: როგორ უნდა მოქცეულიყო ავადმყოფი ბავშვის დედა, თუ ექიმები ტიუმენში, ღმერთმა ნუ ქნას, დაუნიშნავდნენ მას ოპერაციას სწორედ 25 თებერვალს? დათანხებულიყო ოპერაციაზე თუ წამოსულიყო სახლში — საქართველოში.

ანთიმოზ ივერიელის თხზულებების წარდგინება უნივერსიტეტში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ორი პუბლიკაციის „ანთიმოზ ივერიელის დიდაქეები და სხვა თხზულებები“-ის თარგმანის და მონოგრაფიის „ანთიმოზ ივერიელი-ქართულ-ევროპული დიალოგი“ პრეზენტაცია გაიმართა.

ღონისძიებას თსუ რექტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა, საქართველოში რუმინეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი დიმიტრუ ბადეა, წმინდა სინოდის წევრები, საქართველოს მთავრობის, დიპლომატიური კორპუსისა და აკადემიური წრეების წარმომადგენლები დაესწრნენ.

თსუ რექტორის ვლადიმერ პაპავას განცხადებით, „წმ. ანთიმოზ ივერიელი XVII-XVIII საუკუნეების განსაკუთრებული გამორჩეული მოღვაწეა. ქართველი მოღვაწე, რომელიც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა რუმინეთში. ის იყო ყოველმხრივ გამორჩეული ადამიანი, მაგრამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი ნაშრომები, რომელიც გამოცემული იყო რუმინულ ენაზე. პრაქტიკულად ეს იყო იმ ეპოქაში ევროპასთან დამაკავშრებული კულტურული ხიდი. რუსთაველის ფონდის დახმარებით, მისი ნაშრომები ქართულ ენაზე ითარგმნა და წიგნის სახით გამოიცა, რაც ქართული კულტურისა და მეცნიერებისთვის მნიშვნელოვანი შენაძენია.“

„დავესწარი რუმინეთის სრულუფლებიანი ელჩის ხარისხში ამ ძალიან მნიშვნელოვან ღონისძიებას, კერძოდ, ანთიმოზ ივერიელის შრომებისა და ამ შრომების შესახებ მონოგრაფიების პრეზენტაციას. ის იყო ძალიან დიდი პიროვნება, იყო ქართველი, მაგრამ თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი გაატარა რუმინეთში. ის რუმინელი ერისა და ეკლესიის ერთ-ერთი უდიდესი განმანათლებელი იყო,“- აღნიშნა საქართველოში რუმინეთის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა დიმიტრუ ბადეამ.

ქართული ღვინის სახლი „თამადა“ — ჩინეთში

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სინძიანის პროვინციის ქალაქ ურუმჩიში ქართული ღვინის პავილიონი „თამადა“ გაიხსნა. საზეიმო ცერემონიას ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე გიორგი სამანიშვილი, სააგენტოს სპეციალური წარმომადგენელი ჩინეთში მაია ცქიტიშვილი და ჩინეთის „ჰუალინგ კორპორაციის“ პირველი მდივანი ესწრებოდნენ. მისასალმებელ სიტყვაში გიორგი სამანიშვილმა საქართველოდან ჩინეთში ბოლო წლებში გაზრდილ ექსპორტზე გაამახვილა ყურადღება.

„ქართული ღვინისთვის ჩინეთი ძალიან მნიშვნელოვანი ბაზარია, სადაც ქართული ღვინის გაყიდვები ყოველწლიურად იზრდება. 2015 წელს ექსპორტმა 2,6 მლნ ბოთლს მიაღწია, რაც 122% პროცენტით არის გაზრდილი 2014 წელთან შედარებით. ჩინეთი ქართული ღვინის ექსპორტიორი ქვეყნების ხუთეულში მეოთხე ადგილს იკავებს. ჩვენი ამოცანაა, რომ ექსპორტის ზრდასთან ერთად, ქართული ღვინის ხარისხიც შევინარჩუნოთ. მადლობა იმპორტიორ კომპანიას, რომელიც გაყიდვასთან ერთად, ქართული ღვინის ისტორიისა და კულტურის პოპულარიზაციასაც ეწევა“ — აღნიშნა გიორგი სამანიშვილმა.

საკმეველი მაღაზიაში

ყველაფერი **მოწყობილი იყო გასაოცრად სადღესასწაულოდ და საზეიმოდ. მომღიმარი გამყიდველები, პეწიანი მენეჯერები, სახეგაბრწყინებული დირექტორატი, უამრავი „გულშემატკივარი“.** მამა იოანე კითხულობდა ლოცვას და სანთელ-საკმეველს აკმევდა. საოცარი სურნელი მთელ დარბაზს ედებოდა... ასე მიმდინარეობდა ქსელ „iphone+“-ის ერთ-ერთი მაღაზიის კურთხევა, რომელიც თბილისში ილია ჭავჭავაძის პროსპექტზე მდებარეობს.

რამდენიმე დღის შემდეგ კი ცნობილი გახდა, რომ მსოფლიოში ცნობილი ბრენდის Apple-ს მობილური ტელეფონების გაყიდვა ამ მაღაზიაში მკვეთრად გაიზარდა. სავაჭრო ობიექტის მფლობელები სიხარულს ვერ მალავდნენ: გათვლილმა კომერციულმა სვლამ სავსებით გაამართლა.

„ამ მაღაზიაში ხშირად მოვდივარ საყიდლებზე. როგორც მართლმადიდებელ ქრისტიანს, ძალიან მიხარია, რომ ჩვენ ქალაქში გაჩნდა კიდევ ერთი ღვთივკურთხეული მაღაზია“, — გვითხრა ერთ-ერთმა მყიდველმა ანა ასლანიშვილმა.

ინფორმაცია მაღაზიის კურთხევის შესახებ თავდაპირველად სოციალურ ქსელებში აღიქვეს, როგორც ხუმრობა. შეუძლებელია! თუმცა მაღაზიაში დაადასტურეს: ყველაფერი სწორედ ასე იყო.

შემდეგ კი, როგორც ამბობენ, ყველაფერი სულ ზევით და ზევით წავიდა. „Iphone+“-ის თბილისის ქსელის მეპატრონეებმა გვაგრძნობინეს, რომ მაღაზიის კურთხევა ჭავჭავაძის პროსპექტზე — ეს ახალი კომერციული პოლიტიკის მხოლოდ პირველი ეტაპია. სამომავლოდ კურთხევის ცერემონია მოეწყობა სხვა სავაჭრო ობიექტებშიც.

„ჩვენი მაღაზია კომპანიის პირველი მაღაზიაა, რომელშიც ნაკურთხი Apple-ები იყიდება. რატომ გადავდგით ეს ნაბიჯი? საქმე ისაა, რომ ზოგიერთი ჩვენი თანამოქალაქე თავს იკავებს მობილურების ყიდვისაგან, უწოდებს მათ „ეშმაკისეულ“ აპარატებს. სწორედ ამიტომ მივიღეთ გადაწყვეტილება გვეკურთხებინა ჩვენი სავაჭრო ობიექტი“, — გვითხრა მაღაზიის მენეჯერმა გიორგი მაჭავარიანმა.

„ერთ წუთს, ერთ წუთს, — წამოიყვირებს გაოცებული მკითხველი. — რა შუაშია აქ კურთხეული Apple, თუ მამა იოანემ თავისი ღვთისმსახურების დროს აკურთხა მხოლოდ მაღაზია?“ „იმაში, — ამბობენ ვაჭრობის მუშაკები, — რომ, რახან აკურთხეს მაღაზია, მაშასადამე, მასში არსებულმა საგნებმაც მიიღეს „ღვთიური“ კურთხევის თავისი წილი“.

მაგრამ, სამწუხაროდ, ასეთ განმარტებას არ ეთანხმება მამა იოანე. ქართული საპატრიარქოს ტელეარხის „ერთსულოვნების“ ეთერში მან თქვა, რომ

თავისი ლოცვებით აკურთხა მხოლოდ მაღაზია, მაგრამ არა გასაყიდად გამოტანილი ტელეფონები. მღვდლის სიტყვებით, ვიდეოსიუჟეტი, რომელიც შემდეგ გაჩნდა სოციალურ ქსელებში, მასთან არ იყო შეთანხმებული, წინააღმდეგ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, არ მისცემდა ნებას გადაეღოთ კამერაზე ღვთივკურთხევის პროცესი. „მე უბრალოდ არ შემეძლო მეკურთხებინა Apple ან რაიმე სხვა საგნები, გასაყიდად რომ იყო გამოტანილი, — აღშფოთებულია მამა იოანე. — ეკლესია ხომ აკურთხებს ხოლმე ჩვეულებრივად მხოლოდ ადამიანებსა და შენობებს...

ერთი სიტყვით, სიტუაცია უკიდურესად არეულ-დარეულია. ის, რომ მაღაზიამ გაიარა კურთხევის წესჩვეულება, ეჭვს არ იწვევს. დავაა მხოლოდ ერთ რამეზეა: მიიღეს თუ არა კურთხევის თავისი წილი მაღაზიის შიგნით არსებულმა საგნებმა, რომლებიც უნდა გაყიდულიყო. როგორ მოვიქცეთ?

ეტყობა, მაინც უნდა გავრისკოთ და ვიყიდოთ საყიდელი. აი, შემდეგ კი, თუ ნაყიდი „გაივლის“ თავის საგარანტიო ვადას, ალბათ, გაჩნდება შესაძლებლობა შევაფასოთ შენაძენის ხარისხიც. მაშინ, რა თქმა უნდა, ყველაფერი გაირკვევა.

ვადიმ ანასტასიადი

რაც ადრე პანკისში ხდებოდა, იმაზე უარესი ხდება ქვემო ქართლსა და აჭარაში

ემრეთი წოდებული „ისლამური სახელმწიფო“ მსოფლიოს ახალი ტერაქტებით ემუქრება. პარალელურად, თურქეთის პოლიცია ავრცელებს ინფორმაციას, რომ „ისლამური სახელმწიფო“ თურქეთში მცხოვრები ქრისტიანებისა და ებრაელების წინააღმდეგ ტერაქტების განხორციელებას გეგმავს. სამართალდამცავი ორგანოების ცნობით, ტერორისტული აქტები შესაძლოა, უახლოეს დღეებში მოხდეს, რაც სააღდგომო დღესასწაულებს უკავშირდება. ტერორისტების სამიზნე, უწინარესად, ეკლესიები, სინაგოგები და ქრისტიანული სიწმინდეები შეიძლება გახდეს. საფრთხე რომ რეალურია, ამაზე, for.ge მამუკა არეშიძეს ესაუბრა – ექსპერტს კავკასიის საკითხებში.

– კითხვას, ემუქრება თუ არა საქართველოს ტერორისტული აქტი, ვსვამთ მხოლოდ მაშინ, როდესაც ტერორისტული აქტი ევროპის ქალაქებში ხდება, მაგრამ გაცილებით მძიმე მდგომარეობაა მეზობელ თურქეთსა და ახლო აღმოსავლეთში. რამდენად ქმნის ეს საქართველოსთვის საფრთხეს?

– მენტალობით და გარკვეული ჩვენითაც თავს ვაკუთვნებთ ევროპას, რაც ერთი მხრივ, სწორია, რადგან ჩვენი სამომავლო სურვილია, გავხდეთ ევროპის ნაწილი, მაგრამ, მეორე მხრივ, ნუ დაგვიწყდება, რომ ჩვენი რეგიონი ესაზღვრება ახლო აღმოსავლეთს – ევროპასა და აზიას შორის ვიმყოფებით. ამიტომ, ის, რაც ხდება მსოფლიოს აზიურ ნაწილში და განსაკუთრებით ახლო აღმოსავლეთში, აუცილებლად გვეხება ჩვენ და ჩვენი ყურადღების საგანი უნდა გახდეს. პირდაპირ ვამბობ ამ სიტყვას – გვეხება! გვეხება და მერე როგორ!

– საინტერესოა რატომ არ ვაქცევთ ამას ყურადღებას?

– ასე ვართ მოწყობილი იმ თვალსაზრისით, რომ ჩვენ უფრო ევროპაში მიმდინარე პროცესები გვაინტერესებს. ნებისმიერი ახალგაზრდა რომ გააჩეროთ ქუჩაში, უფრო მარტივად გეტყვით, რა ხდება ლონდონში, ვიდრე თეირანში, ან ახლო აღმოსავლეთის სხვა დედაქალაქში. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, წარმოდგენა არ აქვთ, რა ხდება ერევანსა და ბაქოში. ეს არის ჩვენი დღევანდელი პოლიტიკისა და ისტორიული ლტოლვის შედეგი.

– საქართველოს შემთხვევაში საფრთხეები რამდენად რეალურია? დასავლეთისთვის ბრენდია მხოლოდ პანკისის ხეობა, თუმცა, გაცილებით მძიმე ვითარებაა გურიაში, ქვემო ქართლსა და აჭარაში...

– ნამდვილად, პანკისი არის ბრენდი დასავლეთისთვის, რადგან სიტყვა პანკისი უკავშირდება უარყოფით განწყობას. ახლა რომ ვიღაცამ გურიაზე დაიწყოს ლაპარაკი, ვერ გაიგებენ რაშია საქმე. ამიტომ, თუ ვინმეს უნდა საქართველოს რეპუტაციის შელახვა, აუცილებლად ახსენებს პანკისის ხეობას.

ამ დროს პანკისში ვითარებას ბევრად უფრო აკონტროლებს როგორც ხელისუფლება, ისე ადგილობრივი მოსახლეობის ნორმალური ნაწილი, ვიდრე საქართველოს სხვა რეგიონებში. რაც შეეხება ხიფათს, რასაკვირველია, ხიფათი საკმაოდ მაღალია, მაგრამ ეს არ ნიშნავს დღევანდელ ხიფათს, ეს არის პერსპექტივებზე გათვლილი ხიფათი, რომელსაც დღეს სჭირდება შველა, თორემ მერე უკვე გვიან იქნება. 90-იანი წლებიდან ვიცოდით მხოლოდ პანკისის არსებობის თაობაზე, მაგრამ ასეთი კიდევ 4 რეგიონი გვაქვს საქართველოში.

– პანკისის შემდეგ, ყველაზე რთული რეგიონი არის ქვემო ქართლი. შეგიძლიათ გვითხრათ, რა ხდება ამ რეგიონში, რამდენად ეფექტურად მუშაობენ პოლიტიკური ისლამის იდეოლოგიის მატარებელი ძალები?

– არა მარტო ქვემო ქართლი, არამედ აჭარის რეგიონი. ეს არის ადგილები, სადაც ძალიან ეფექტურად მუშაობენ პოლიტიკური ისლამის იდეოლოგიის მატარებელი ძალები. თუ აჭარაში ძირითადად არის თურქული ორგანიზაციები, ქვემო ქართლში არის ყველა, ვისაც არ ეზარება – თურქულიც, ირანულიც, არაბულიც და ა.შ. რასაკვირველია, არის იმავე ქვეყნების ჰუმანიტარული ორგანიზაციების წარმომადგენლობებიც და ნაწილი სუფთა ჰუმანიტარულ მისიას ასრულებს, მაგრამ ნაწილი ორიენტირებულია იმაზე, რომ რელიგიის მეშვეობით პოლიტიკური ფონი შექმნას.

– ანუ ეს ორგანიზაციები მრევლზე მუშაობენ?

– რასაკვირველია და ეს არის გარკვეული რისკისა და ხიფათის შემცველი. ის, რომ ორივე რეგიონში მუშაობენ ფუნდამენტალისტები, ფაქტია. წლების განმავლობაში რაც ხდებოდა პანკისში, იგივე უფრო მასშტაბურად ხდება ქვემო ქართლსა და აჭარაში.

– ამ შემთხვევაში რა ზომებს უნდა მიმართოს ხელისუფლებამ, რომ ამ ორ რეგიონში არ შეიქმნას პრობლემა? იმის მიუხედავად, რომ ღიად საუბრობთ არსებულ პრობლემებზე, ჯერჯერობით ვერ ვხედავთ ხელისუფლების კონკრეტულ ნაბიჯებს, ისევე როგორც ეს მოხდა პანკისის შემთხვევაში და რაღაცა თვალსაზრისით, გვაქვს შედეგი...

– პანკისის ხეობა კომპაქტური რეგიონია, ხალხის რაოდენობა არის ცოტა და მეორეც, მას არ აქვს უშუალო საზღვარი, რომელიმე ისეთი ტიპის ქვეყანასთან, საიდანაც შეიძლება პირდაპირ წამოვიდეს ხიფათი. ხშირად საქმეში ჩაუხედავ საზოგადოებას ჰგონია, რომ პანკისი ესაზღვრება ჩეჩნეთს, პანკისადან ჩეჩნეთამდე არის თუშეთი და კავკასიის მთიანეთი, რომელიც კომუნიკაციისთვის მაინცდამაინც მოხერხებული არ არის. ამ თვალსაზრისით, პანკისი ბევრად უფრო მარტივი მისახედია. ქვემო ქართლს ესაზღვრება აზერბაიჯანი, ხოლო აჭარას – თურქეთი, ორივე შემთხვევაში კომუნიკაციის თვალსაზრისით, საზღვარი ღიაა.

რაც შეეხება ხელისუფლებას, ვერ ვიტყვი, რომ არაფერს არ აკეთებს, აკეთებს, მაგრამ ტემპი არ არის იმის შესაბამისი, როგორც მუშაობენ ჩვენი მოწინააღმდეგეები. ის, რომ ტერორის მანქანა და ექსტრემისტული აქტივობა არ არის საქართველოს ტერიტორიაზე, ეს დღევანდელი ხელისუფლების გამოძახილია. მაგრამ, უნდა ითქვას, რომ მხოლოდ უშიშროების კუთხით ამ მიმართულებით მუშაობა არ იძლევა იმ შედეგს, რომელზედაც მაქვს ლაპარაკი.

– ერთია უშიშროება, მაგრამ აუცილებელია საზოგადოებისა და ხელისუფლების სხვა რგოლების აქტივობა?

– რა თქმა უნდა და ამის მაგალითი გვქონდა პანკისის ხეობაში, როდესაც სხვა სტრუქტურებმა, განათლების, თავდაცვის, ჯანდაცვის და შსს-მ აქტიურად იმუშავეს არა მარტო იმისათვის, რომ ექსტრემიზმი მოესპოთ, ან შეეკავებინათ, არამედ იმ მიმართულებითაც, რომ ადგილობრივი საზოგადოებრივი ჯგუფებისთვის გაეჩინათ ინტერესი. სამწუხაროდ, ასეთი მიდგომები სხვა რეგიონებში არ არის. ჩემი განგაში ძირითადად განპირობებულია იმით, რომ არ ჩანს საზოგადოების და ხელისუფლების ერთობლივი მიდგომა, ვერ ვხედავ, რომ საზოგადოება და ხელისუფლება ერთობლივად აცნობიერებდეს იმ საფრთხეებს, რომელიც ჩვენს წინაშე დგას.

– რეგიონში არსებულ მოვლენებზე რა გავლენა აქვს რუსეთის ხელისუფლებას?

– მარტო რუსეთისკენ თითის გაშვერა – ეს არის ქართული პოლიტიკის დღევანდელობა. რუსეთი რომ ოკუპანტია და მიტაცებული აქვს ჩვენი ტერიტორიები, ამაზე ლაპარაკი არ არის, მაგრამ მარტო რუსეთის ამოჩემება და თითქოს სხვა არაფერი არ ხდება, ეს უკვე სხვა მოწინააღმდეგის წისქვილზე ასხამს წყალს. შეიძლება, ზოგიერთი ამ ძალების უკან დგას რუსეთი, მაგრამ იმ თურქული სალაფისტების ორგანიზაციებს, რომლებიც საქართველოში მოქმედებენ, დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რომ არავითარი კავშირი არ აქვთ რუსეთთან, თავის ინტერესებს ემსახურებიან, მით უმეტეს არაბები.

– თქვენი კოლეგების განცხადებით, საქართველოში ტერორისტული აქტები მოსალოდნელი არ არის, თუმცა, ჩვენი პრობლემა ისაა, რომ ტერორისტები ეცდებიან საქართველო გამოიყენონ როგორც კორიდორი. თქვენ როგორ ფიქრობთ, ტერორისტებისთვის საქართველო არ არის მოწყვლადი?

– საქართველოს ტერიტორია რომ კორიდორად გამოიყენება, ეს ახალი არ არის და არა მარტო – საქართველო. შეიძლია, გითხრათ, რომ რამდენიმე „ბოევიკმა“ მოახერხა სირიიდან თურქეთის ტერიტორაზე გადასვლა. რაც ყველაზე საინტერესოა, მათ აიღეს თურქეთის მოქალაქის პასპორტი, ოღონდ სომხური გვარით და ასე ჩაფრინდნენ ერევანში, იქიდან უკვე ჩრდილოეთ კავკასიაში. რაც შეეხება ტერორისტულ აქტებს, არ ვიზიარებ, რომ განსაკუთრებული რეჟიმია საქართველოში, მაგრამ ტერორისტული აქტები შეიძლება განხორციელდეს აქ არსებული უცხოური წარმომადგენლობის წინააღმდეგ.

– ამის ალბათობა რამდენად მაღალია?

– ალბათობა ძალიან მაღალი არ არის იმიტომ, რომ ტერორისტების ამოცანაა, მათ მიერ ჩადენილი ტერორისტული აქტი იყოს რეზონანსული. საქართველოში რომ თავდასხმა მოხდეს რომელიმე დასავლურ წარმომადგენლობაზე, ამას ისეთი რეზონანსი არ ექნება, როგორიც ევროპაში, სადაც ბევრად უფრო სოლიდური წარმომადგელობა ჰყავთ, ვიდრე საქართველოში. მაგრამ, ჩვენ ვართ ფსიქოლოგიური ტერორის რეჟიმში და ეს არანაკლებ მნიშვნელოვანია.

– ფსიქოლოგიური ტერორის ქვეშ იმყოფება მთელი მსოფლიო და მათ შორის საქართველოც. ვხედავთ, რომ კოალიციის საჰაერო იერიში არ აღმოჩნდა შედეგზე ორიენტირებული, დადგა დრო, რომ გადაწყვეტილება იქნას მიღებული სახმელეთო ოპერაციის დაწყებაზე?

– ვინ გადავა? მდგომარეობას უნდა შევხედოთ ასე – ძალიან ბევრ მოთამაშეს აწყობს ის, რაც სირიაში ხდება. ნაწილობრივ ეს აწყობს აშშ-ს, რუსეთს, ირანს და არაბულ სამყაროს. ერთადერთი ქვეყანა, რომელსაც ეს ვითარება აღარ აწყობს, თურქეთია. იმიტომ, რომ თვითონ შეექმნა საფრთხე, თორემ დასაწყისში ძალიან აქტიურად იყო ჩართული ამ პროცესში სათავისოდ. ვიდრე მსხვილი მოთამაშეების ინტერესების ჭიდილი ერთმანეთს არ დაემთხვევა, მანამდე ასეთი ვითარება იქნება. არავითარი სახმელეთო ოპერაცია ამას არ უშველის.

როდესაც ვამბობთ, რომ ფსიქოლოგიური ტერორი არის მთელს მსოფლიოში და, მათ შორის, საქართველოში, ვხედავთ, რომ ნელ-ნელა, მაგრამ როგორ იცვლება უარესობისკენ სიტუაცია საქართველოში. ვხედავათ, როგორ ნელ-ნელა ძლიერდება ჩვენს რეგიონებში ფუნდამენტალური ისლამი, რომელიც საშინლად შემოგვიტრიალდება რამდენიმე წლის შემდეგ. ეს არის იდეოლოგიური რეკრუტირება თავისი მომხრეებისა, რომელსაც საზღვარგარეთ მყოფი ექსტრემისტული ძალები ახდენენ. რამდენიმე წლის შემდეგ როგორ გამოიყენებენ ამ მომხრეებს, არავინ იცის. თუ ამ პროცესს ახლავე არ ეშველა, მერე უკვე გვიანი იქნება. ეს არის მთავარი და ამას ვარქმევ მე იდეოლოგიურ ტერორს.

თამთა ძარჩავა

სირიასა და ერაყში ტერორისტული მიზნებით საქართველოს 50-მდე მოქალაქე იმყოფება

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ინფორმაციით, სირიასა და ერაყში ტერორისტული მიზნებით საქართველოს 50-მდე მოქალაქე იმყოფება. სუს-ის საქმიანობის ანგარიშში, რომელიც განსახილველად პარლამენტს წარედგინა,

„სუს-სა და პარტნიორი სახელმწიფოების შესაბამის უწყებებს შორის მუდმივად ხდებოდა ინფორმაციის გაცვლა ტერორისტულ ორგანიზაციაში გაწევრიანებულ ან კავშირში მყოფ პირებზე, ასევე ტრანზიტულად გადაადგილების მსურველებზე. აღნიშნული თანამშრომლობის ფარგლებში სასაზღვრო კონტროლზე დაყენებულ იქნა რამდენიმე ასეული პირი. მთლიანობაში, კონტრტერორისტული მიმართულებით, შსს-სთან თანამშრომლობით, საქართველოს სასაზღვრო კონტროლზე აყვანილ იქნა 1286 პირი, ხოლო 1014-ს აეკრძალა საქართველოში შემოსვლა. ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე აღკვეთილია საქართველოს მოქალაქეთა კონფლიქტის ზონაში გამგზავრების მცდელობის 40 ფაქტი. ტერორისტული საქმიანობისთვის ქვეყნიდან გამგზავრებისა და შემოსვლის პრევენციის მიზნით, შსს-სთან თანამშრომლობით სათანადოდ ხორციელდება სასაზღვრო კონტროლი. ხდება ვიზიტორებთან გასაუბრება. ყველა სასაზღვრო-გამტარი პუნქტი აღჭურვილია ბირთვული და რადიოაქტიური მასალების/ნივთიერებების დეტექტორებით, – ნათქვამია ანგარიშში, რომელსაც სუს-ის უფროსის მოადგილე ლევან იზორიამ იურიდიულ საკითხთა, ადამიანის უფლებათა დაცვისა და თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე წარადგინა.

აღთქმული მიწა... ომი და ინოვაციური ეკონომიკა

„ისრაელი არ შეძმნილა იმისთვის, რომ გამძრალიყო....“ ასე იწყება პრეზიდენტ კენედის ერთ-ერთი ციტატა, რომელიც ისრაელს, მის მომავალს და შესაძლებლობებს ეხება. ამ ქვეყანაში ჩასულს გეჩვენება, რომ ისრაელის თითოეული მოქალაქის სიცოცხლის თითოეული წამი სწორედ — „sword of freedom“-ს ეძღვნება.

ისრაელში ყველას სურს დაგანახოს, რომ ეს ქვეყანა, მთელი თავისი შესაძლებლობებითა და, ხშირად სევდიანი ისტორებით, სინამდვილეში მომავლის საკუთრებაა, ვიდრე წარსულის აჩრდილი. აქ ყველას სჯერა, რომ „გადარჩენა“ უფრო „გონებრივი“ მდგომარეობაა, ვიდრე ფიზიკური არსებობა.

ისრაელის ოფიციალური ხელისუფლების მთავარი დანიშნულება საგარეო საქმეები, საგარეო მტრები, საგარეო პრობლემები და საგარეო გამოწვევებია. საშინაო დავალებებს უბრალო მოქალაქეები თავადაც მშვენივრად ასრულებენ.

როგორც ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროში განმარტავენ, მათი საგარეო გამოწვევები შემდეგნაირად გამოიყურება:

პირველი და უმთავრესი — ირანი, შემდეგ მოდის ტერორისტული ორგანიზაციები — ერთი მხრივ, ჰესბოლა და, მეორე მხრივ — ჰამასი... შემდგომ კი გლობალური ჯიჰადი.

ზოგადად, როგორც საგარეო საქმეთა სამინისტროში დიპლომატები განმარტავენ, ისრაელსა და ახლო აღმოსავლეთში არსებული სიტუაცია იმდენად კომპლექსური და ურთიერთდაკავშირებულია, რომ კვანძის გახსნა, მეზობელი სახელმწიფოების ინტერესების გაშიფვრა, მათთვის შესაბამისი პასუხების გაცემა და პროგნოზების გაკეთება, არათუ რთული, ხშირ შემთხვევაში შეუძლებელიცაა. თანამედროვე სამყაროში, სადაც ატომური იარაღი არსებობს, შეუძლებელია გრძელვადიან გამოწვევებზე მოახდინოს კონცენტრირება ისეთმა, გეოპოლიტიკურად რთულ სიტუაციაში მყოფმა ქვეყანამ, როგორიც ისრაელია.

რაც შეეხება რუსეთის როლს ახლო აღმოსავლეთში, საგარეო საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთ გავლენიანი თანამდებობის პირი აცხადებს, რომ რუსეთისთვის არსებობს ე.წ. „წითელი ხაზები“ სირიასთან და, ზოგადად, ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტთან მიმართებაში, რომელიც, თავად რუსეთმაც ძალიან კარგად იცის, რომ არ უნდა გადაკვეთოს. კითხვაზე — რა მოხდება წინააღმდეგ შემთხვევაში, პასუხი არ არის ერთმნიშვნელოვანი, თუმცა არსებობს მითითება იმაზე, რომ თავად რუსეთსაც კარგად აქვს გაცნობიერებული შესაძლო შედეგები. რაც შეეხება ისრაელის მთავარ სტრატეგიული პარტნიორს, მთავარ პარტნიორად ამერიკის შეერთებული შტატები დასახელდა.

„აქ არის არა მხოლოდ მსოფლიო ისტორია, არამედ აქ ნამდვილად არის დედამიწისა და სამოთხის ისტორია“....

ისრაელის სამხრეთ საზღვარი — ღაზას სექტორი

დაახლოებით 41 კილომეტრის სიგრძის ღაზას სექტორს, ერთი მხრივ, ეგვიპტე და, მეორე მხრივ, ისრაელი ესაზღვრება. ეს, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე რთული წერტილია არა მხოლოდ ახლო-აღმოსავლეთის, არამედ ზოგადად, მსოფლიო რუკაზე. ტერორისტული ორგანიზაცია ჰამასი, რომელიც ღაზას სექტორს აკონტროლებს, დიდ სირთულეებს ქმნის ისრაელისთვის. სირთულეები ღაზას სექტორში 2005 წელს დაიწყო, როცა ისრაელმა აქ ე.წ. „disengagment plan“ (გამოყოფის გეგმა) განახორციელა. და იმის ნაცვლად, რომ აღნიშნული შესაძლებლობა სხვაგვარად გამოეყენებინათ, ჰამასმა, განსაკუთრებით 2006 წლიდან (მას შემდეგ რაც არჩევნები მოიგო) ღაზას სექტორიდან ტერორისტული აქტების განხორციელება დაიწყო. ჰამასის მიერ განხორციელებული ოპერაციების შედეგად, ღაზას სექტორში მცხოვრები მოსახლეობა უმძიმეს სიტუაციაში აღმოჩნდა. შესაბამისად, აღნიშნულ რეგიონში ჰუმანიტარული კატასტროფის თავიდან აცილების მიზნით და ადგილობრივი მოსახლეობის ელემენტარული სოციალური უფლებების უზრუნველსაყოფად შეიქმნა სპეციალური მექანიზმი, „COGAT“ (Coordination of government activities in the terrorist units), ისრაელისა და პალესტინის შესაბამისი სახელმწიფო უწყებების ჩართულობითა და აქტიური მონაწილეობით. აღნიშნულ უწყების, რომელიც ისრაელის სამხედრო ძალების დაქვემდებარებაშია, მიზანია, სპეციალური გამშვები პუნქტის ე.წ. „KEREM SHALOM“-ის მეშვეობით, ღაზას სექტორში მცხოვრები მოქალაქეებისთვის საჭირო ყველა სახის „მატერიალური სიკეთის“ მიწოდება. „KEREM SHALOM“ არის ე.წ. საზღვარი ისრაელსა და ღაზას შორის, რომელიც სპეციალურად ტვირთის (საქონლის) შესატანად გამოიყენება. რეალურად, ღაზას მოსახლეობის მიერ მოხმარებული ყველა სახის პროდუქციის 90% ზე მეტი სწორედ ამ პუნქტის გავლით შედის (800 სატვირთო მანქანაზე მეტი გადის ყოველ დღე ამ პუნქტს). აქ ყველა კონტეინერი სპეციალურ, ურთულეს შემოწმებას გადის. როგორც აქ განმარტავენ, შეფუთვაში ხშირად აღმოუჩენიათ ე.წ. უკანონო ან საეჭვო ნივთები, რომელიც შემდგომში, შესაძლოა, ტერორისტული ორგანიზაციის მიერ იარაღის დასამზადებლად შეიძლება გამოიყენონ. ამდენად, თავად ეს გამშვები პუნქტი ისრაელისთვის, უპირველესად, უდიდესი რისკია, თუმცა მათ მიაჩნიათ, რომ ის ადამიანები, რომლებიც ღაზაში ცხოვრობენ, საჭიროებენ აუცილებელ მინიმუმს, რომელიც მათ, რისკის ფასად, მაგრამ მაინც უნდა მიიღონ.

ცხოვრება საზღვარზე

რა შეიძლება იყოს 14 წლის ევროპელი ბავშვის მიზანი, სურვილი ან, გნებავთ, გამოვლილი ბავშვობა? ... თქვენთვის მომინდია პასუხის გაცემა.... „იდეები“: დისნეილენდი, Macbook, მოგზაურობა, საუკეთესო სკოლა და წიგნები....

ისრაელის უკიდურეს სამხრეთით, ულამაზეს სოფელ Nativ ha'Hasara-ში 14 წლის ბავშვის გამოვლილი ცხოვრება: — რაკეტები... რამდენიმე წამი ბომბებისგან თავის დასაცავად, თავშესაფარში სირბილამდე... ბაღები, სკოლები და ღამის ძილიც კი თავად ამ სპეციალურ „თავშესაფარში“... ოცნება? — მშვიდობა.... ჰამასის, ომის, ბომბების, რაკეტების და დედის განწირული თვალების ყურების გარეშე...

...„მე არ ვიცი ვინ არიან ჯარისკაცები საზღვრებზე.. ვინ იცავს ჩემი ქვეყნის საგარეო თუ საშინაო ინტერესებს... მე ვიცი, ვგრძნობ და ვხედავ, რომ ჩემი შვილები და აქ, ამ სოფელში გაზრდილი ბავშვები, რომლებმაც ომის საშინელების რეალური ისტორია საკუთარ თავზე გამოიარეს, არიან ამ ქვეყნის ჯარისკაცები — ქვეყნის მომავლის გარანტი და სწორედ ისინი იცავენ საზღვარს“, — ამბობს ჰილა, 38 წლის, 2 შვილის დედა, რომელიც ღაზას სექტორის საზღვარზე ცხოვრობს და ყოველდღე, ყოველ წამს „იცავს“ თავის ქვეყანას. **„მე რომ აქედან წავიდე, ეს ნიშნავს რომ მათ (ჰამასმა) გაიმარჯვეს, და ისინი კიდევ ერთი ნაბიჯით წინ წამოვლენ და ეს არასდროს არ დასრულდება. ამიტომ მე აქ უნდა ვიყო, აქ უნდა გააგრძელონ ცხოვრება ჩემმა შვილებმა“... ,** — ამბობს ჰილა.

აქ ყველაზე კარგად იციან მშვიდობის ფასი და ომის საშინელება...ყველაზე შორიდან ესმით და გრძნობენ ბომბების, რაკეტების, იარაღის და უამრავი ძალადობის ხმას... აქ ყველა გმირია, იმიტომ რომ ეს ყველაფერი გამოიარეს და მაინც იღიმიან....!! და შვილებს ასწავლიან არა ომს, არამედ მშვიდობას.

აქ ისტორია მთავრდება....

ეს ისრაელის ჩრდილოეთ საზღვარზე ხდება, იქ სადაც მას, ერთი მხრივ, სირია და, მეორე მხრივ, ლიბანი ესაზღვრება. ერთი შეხედვით სიმშვიდეა, მაგრამ მუდმივად არის საფრთხე. როგორც თავად საზღვარზე ყოფნისას, ისრაელის სამხედრო ძალების პასუხისმგებელი პირი განმარტავს, იქ სადაც შენი ტერორისტული ორგანიზაციაა, ძირითადად მოკლევადიან გეგმებზე ხარ ორიენტირებული და ისრაელის შემთხვევაში მთავარი, ამ მოცემულობის გათვალისწინებით, მშვიდობის შენარჩუნებაა; იმ მშვიდობის, რომელმაც სულ რამდენიმე წელია აქ, საზღვრებზე დაისადგურა... მშვიდობაზე უფრო სწორია „სიჩუმეს“ თუ დავარქმევთ, იმიტომ რომ ერთადერთი რასაც აქ იგრძნობ სიჩუმეა.. არავინ იცის დროებითი თუ ხანგრძლივი.

„იმის გათვალისწინებით, რომ, როგორც სირიის, ისე ლიბანის მხრიდან ერთი და იგივე ტერორისტული ორგანიზაცია — „ჰესბოლაა“ ისრაელის მთავარი საფრთხე, ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს არ არის ორი საზღვარი, ეს ერთი საზღვარია, რომელსაც მხოლოდ გეოგრაფიულად აქვს ორი სხვადასხვა მოცემულობა“, — განმარტავს ისრაელის სამხედრო ძალების წარმომადგენელი.

ყველა ოფიციალური უწყება, სამხედრო მოსამსახურე თუ უბრალო მოქალაქე, კითხვაზე: „რა სურთ ისრაელის მტრებს, თითქმის ერთსა და იმავეს პასუხობს: „მათ სურთ, რომ ისრაელი არ არსებობდეს როგორც სახელმწიფო“...

„ინოვაციური ეკონომიკა“

ისრაელის, როგორც მზარდი ეკონომიკის მქონე ქვეყნის მთავარი ამოცანა ეკონომიკური მიმართულებით, ისეთი კომპანიების ხელშეწყობაა, რომლებიც ქმნიან ახალ, მაღალტექნოლოგიურ პროდუქტს. აქ ეს ყველაზე მეტად ფასობს და მიაჩნიათ, რომ მომავალი სწორედ ინოვაციური, მაღალტექნოლოგიური (high-tech) სერვისისა და პროდუქციის მიწოდებაშია. სახელმწიფო აქტიურად უჭერს მხარს ახალგაზრდა მეცნიერებს, რომლებიც კვლევებსა და განვითარების სტრატეგიების შემუშავებაში მონაწილეებენ. ასევე აქტიურად ეხმარებიან ე.წ. start-up-ებს. კომპანიებს, რომლებიც თავიანთი განვითარების საწყის ეტაპებს გადიან და დახმარებებს იღებენ როგორც ფინანსური, ისე საკონსულტაციო კუთხით. როგორც წესი, სახელმწიფო, ბიზნესინკუბატორთან ერთად სპეციალურ, განსაზღვრულ გრანტს გასცემს კომპანიაზე, ანუ ხდება იდეის დაფინანსება, რომელიც წარმატების მიღწევის შემთხვევაში უბრუნდება სახელმწიფოს. როგორც ეკონომიკის სამინისტროს ადრეულ საფეხურზე მყოფი კომპანიებისა და ინკუბატორების დეპარტამენტის გენერალური მენეჯერის მოადგილე იტაი ბეკი განმარტავს, ბიზნესინკუბატორების მეშვეობით დამწყები კომპანია, მიუხედავად იმისა, ის კონკრეტულ ბიზნესში წარმატებული იქნება თუ არა, იმდენად სოლიდურ ცოდნას და გამოცდილებას იღებს, რომ ეს აუცილებლად გამოადგება მას ნებისმიერ სხვა შემთხვევაში, სხვა ბიზნესის დაწყების პირობებშიც. რეალურად თავად ბაზარი განსაზღვრავს რა არის საჭიროება კონკრეტულ შემთხვევაში და, შესაბამისად, სწორედ ამის მიხედვით ხდება სახელმწიფოს მიერ შესაბამისი ბიზნესის ან იდეის დაფინანსება.

სახელმწიფოს მიერ ბიზნესის და ინოვაციების მიმართ ხელშეწყობა ნათლად ჩანს ასევე იმ ასპექტში, რომ თავად თელავივში მოწყობილია სპეციალური ბიბლიოთეკა და შექმნილია სივრცეები იმისთვის, რომ ინოვაციური „იდეები“ განვითარდეს და start-up-ები უზრუნველყოფილი იყვნენ ყველა საჭირო და აუცილებელი ტექნიკური თუ მატერიალური საჭიროებით, რაც მათ იდეების სრულყოფისა და რეალობად ქცევისთვის სჭირდებათ.

ისრაელს აქვს შეთანხმება სხვადასხვა სახელმწიფოსთან, რომელიც, ერთი მხრივ, ისრაელის და, მეორე მხრივ, პარტნიორი ქვეყნის სახელმწიფოს კომპანიების თანამშრომლობის გზით ბაზარზე ახალი სერვისების დანერგვას უწყობს ხელს.

საფრთხეების, საზღვრებზე უზარმაზარი, თვალუწვდენელი კედლების, შორეული სივრციდან აფეთქებებისა და ქუჩაში მომხდარი ტერაქტების მიუხედავად, აქ ადამიანები ცხოვრობენ უკეთესი მომავლისთვის და ყველაზე მეტად აფასებენ დროს!...

აქ ყველაზე მეტად რწმუნდები, რომ როგორც თავად დევიდ ბენ გურიონი ამბობდა: „ისრაელში, იმისთვის, რომ იყო რეალისტი, უნდა გჯეროდეს სასწაულების“.

იერუსალიმში ჩასული ადამიანი თავად ხდება იმ სასწაულის მომსწრე, რომელსაც ეს ქვეყანა ატარებს.. ხვდება რატომ გადარჩენენ, რატომ მოვიდნენ აქამდე და რწმუნდები, ბენჟამენ დისრაელის სიტყვების სისწორეში, რომ „აქ არის არა მხოლოდ მსოფლიო ისტორია, არამედ აქ ნამდვილად არის დედამიწისა და სამოთხის ისტორია“....

„ისრაელი არ შეძმნილა იმისთვის, რომ გამძრალიყო“....

და ბოლოს, ყოველგარი ფორმალობების გარეშე, მხოლოდ გულწრფელი ემოციით, მადლობა ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს საქართველოში ბატონ იუვალ ფუქსს და მისი სახით საელჩოს ყველა თანამშრომელს. მადლობა ყველა ადამიანს, ვინც ჩვენს ჯგუფს უმასპინძლა ისრაელში და, ზოგადად, მადლობა ისრაელს — სახელმწიფოს, რომელიც არ შექმნილა იმისთვის, რომ გამქრალიყო...

თამარ მირცხულავა

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

კვირიკაშვილმა CNN-თან ევროკავშირ-საქართველოს ურთიერთობებზე ისაუბრა

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა CNN-თან ინტერვიუში ევროკავშირ-საქართველოს ურთიერთობებზე, ეკონომიკურ ზრდასა და ირანთან ურთიერთობაზე ისაუბრა.

„ამ წელს ჩვენ 3.5%-იან ზრდას ველოდებით, მომავალ 2017 წელს კი საქართველოს ეკონომიკური ზრდა 5.5% იქნება“, — აცხადებს კვირიკაშვილი.

ჟურნალისტის კითხვაზე, რატომ არის საქართველოსთვის ევროკავშირი ასეთი მნიშვნელოვანი მაშინ, როცა ბრიტანეთმა შესაძლოა, დატოვოს ევროგაერთიანება, როცა ევროპას მიგრანტების სახით მძიმე დღე უდგას და სხვა პრობლემების წინაშეა, კვირიკაშვილი პასუხობს, რომ საქართველო ევროპაა და ბუნებრივია, სურს ევროკავშირის წევრობა.

— იმიტომ, რომ ჩვენ ევროპა ვართ. ჩვენ ვხედავთ ევროპას როგორც სივრცეს, სადაც დაცულია ადამიანის უფლებები, დემოკრატია. ეს სწორედ ის ღირებულებებია, რაც ქართველ ხალხს სურს რომ მიაღწიოს. რუსეთს ჩვენი ქვეყნის 25% ოკუპირებული აქვს, ამის მიუხედავად გვსურს დავანახოთ მსოფლიოს, რომ კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარება გვსურს, თუმცა არ ვაპირებთ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხარჯზე კონფლიქტების მოგვარებას. ჩვენ ვართ სუვერენული სახელმწიფო, რაც გულისხმობს იმას, რომ ჩვენ გვაქვს უფლება დამოუკიდებლად მივიღოთ გადაწყვეტილებები ნატოში გავწევრიანდეთ თუ ევროკავშირში, — აცხადებს კვირიკაშვილი.

რაც შეეხება ირანს, კვირიკაშვილი ამბობს, რომ ირანი საქართველოს მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორია.

— ვფიქრობ, ევროპელი ინვესტორებისთვის საინტერესო უნდა იყოს რეგიონში არსებობდეს ქვეყანა კარგად განვითარებული ინფრასტრუქტურით, რომელიც დააკავშირებს მათ რეგიონის სხვა მნიშვნელოვან ქვეყნებთან. სწორედ ამიტომ ვცდილობთ ინფრასტრუქტურის განვითარებას და ირანთან მჭიდრო თანამშრომლობას, — აცხადებს კვირიკაშვილი.

რუსეთის საბჭოური სცენარი და განზე გამდგარი ამერიკა

როცა 2014 წელს უკრაინაში „მაიდნის რევოლუციამ“ იფეთქა, დასავლელ ლიდერებს თავიდანვე უნდა გამოეცნოთ, რომ რუსეთი კიევშიც იგივე სცენარით ისარგებლებდა, რომელიც პოსტსაბჭოთა სივრცის კიდევ ერთ მოწყვლად ადგილში — საქართველოში გამოიყენა“, — წერს ჟურნალისტი ტოდ ვუდი.

კრემლმა ხელი შეუწყო სეპარატიზმის გაჩაღება-განვითარებას სამხრეთ ოსეთში — საქართველოს სეპარატისტულ რეგიონში და საქართველოს ჯარს 2008 წელს სხვა არჩევანი აღარ დაუტოვა გარდა იმისა, რომ არმიას თავისი სახელმწიფოს სუვერენიტეტი დაეცვა. სწორედ იმ დროს რუსეთი საქართველოში შეიჭრა, დაიკავა ქვეყნის მნიშვნელოვანი ტერიტორიები, დაანგრია ინფრასტრუქტურა და ქართული ჯარი ოთხ დღეში გაანადგურა, შემდეგ კი სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში თავისი რეგულარული შეიარაღებული ძალების ყოფნა გააფართოვა.



გავლენიანი ამერიკული გამოცემა „The Washington Times“, საქართველოსთან დაკავშირებით სტატიას აქვეყნებს, რომლის ქართულენოვან რეზიუმეს, საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გვთავაზობს

„ეს იგივე მეთოდებია, რომლებიც ჩვენ მოგვიანებით აღმოსავლეთ უკრაინასა და ყირიმში ვნახეთ — მუდმივი მცდელობა იმისათვის, რომ რუსეთმა ყოფილი საბჭოთა ტერიტორიები დაიბრუნოს. ეს მანამდე გაგრძელდება, სანამ მოსკოვი სერიოზულ დაბრკოლებას და წინააღმდეგობას არ წააწყდება. როგორც კი კონფლიქტურ ზონებში ახალ ფსევდოსაზღვარს დაადგენს, კრემლი საქართველოს დანარჩენ რეგიონებში სიტუაციის არევას შეეცდება, რათა არ დაუშვას ქვეყნის ინტეგრირება ნატოსა და ევროკავშირში“, — აღნიშნავს ავტორი.

ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მმართველობის დროს კრემლი ცდილობდა საქართველოში თავისი მიზნები განეხორციელებინა, ხელი შეეშალა რეფორმების განხორციელებისთვის, მხარს უჭერდა ოპოზიციას და ამ მხრივ ფართოდ იყენებდა დაზვერვას.

თავის მხრივ, ნატოს არაერთხელ განუცხადებია, რომ საქართველოს მხოლოდ მაშინ დართავს ნებას ალიანსის რიგებში გაწევრებისათვის, როცა ყველა წინასწარი პირობა იქნება შესრულებული... მაგრამ საქმე ისაა, რომ ამ მოლოდინში საქართველო ნელ-ნელა უკან მიდის — საბჭოური კორუფციისა და სტაგნაციისაკენ (ცხადია, მოსკოვის გარკვეული დახმარებით), რაც თბილისს ნატოში გაწევრებისათვის წინასწარი პირობების შესრულებაში ხელს უშლის. საქართველო უარს არ აცხადებს რეფორმების განხორციელებაზე, მაგრამ მათი რეალიზება სულ უფრო ნელი ტემპით ხდება. ქართველი რეფორმატორები დასავლეთს დახმარებას სთხოვენ, რათა ქვეყანა „ბნელ საბჭოთა წარსულს არ დაუბრუნდეს“.

„დღეს რუსეთი საქართველოს ტერიტორიის 20%-ზე მეტს აკონტროლებს და ეს რიცხვი, ალბათ, მომავალში გაიზრდება. ამერიკის შეერთებული შტატები ადრე საზღვარგარეთ დემოკრატიასა და თავისუფლების დამცველი იყო და ეს პოლიტიკა უნდა დაბრუნდეს. ამისათვის რუსეთთან ომი საჭირო არ არის. საჭიროა მხოლოდ აშშ-ის ხელმძღვანელობის მტკიცე ნება, რაც ასე გვაკლდა ბოლო ორი საპრეზიდენტო ვადის მანძილზე“, — ნათქვამია პუბლიკაციაში.

დედამიწის ზურგზე



პოროშენკოს შესთავაზეს აიღოს გაღასახადი რუსეთის ფედერაციისგან რუსეთის თანამგზავრების უკრაინის თავზე ფრენისთვის

დოკუმენტი ვარაუდობს, რომ, თუ რუსეთი უარს იტყვის გადახდაზე, უკრაინას შეუძლია გაანადგუროს თანამგზავრები „როგორც კონტრაბანდა“. იმისთვის, რომ სახელმწიფოს მეთაურმა განიხილოს ინიციატივა, საჭიროა 25 ათასი მოქალაქის ხელმოწერა. ამ მომენტისათვის პეტიციას მხარი დაუჭირა მხოლოდ სამმა კაცმა.

აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი ქმაყოფილია პალმირას გათავისუფლებით

„ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს კარგია“, — განაცხადა სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა ჯონ კირბიმ, როდესაც პალმირას გათავისუფლების ფაქტზე საუბრობდა სირიის პრეზიდენტის ბოევიკების კონტროლიდან რუსეთის ფედერაციის ავიაციის მხარდაჭერით. საკითხი იმის შესახებ, ხომ არ გაართულებს ეს მშვიდობიან მოლაპარაკებებს, სახელმწიფო დეპარტამენტში ნაადრევად მიიჩნიეს.

ქვიპროსზე დაჯდა ეგვიპტის სამგზავრო თვითმფრინავი, რომელიც უცნობმა შეიარაღებულმა ადამიანმა გაიტაცა

აირბუსის ბორტზე რამდენიმე ათეული კაცი იმყოფება. ლარნაკში დაჯდომიდან რამდენიმე დროის შემდეგ თითქმის ყველა მგზავრი გაათავისუფლეს ოთხი უცხოელისა და ლაინერის ეკიპაჟის გამოკლებით.

ისრაელის სამხედრო-საჰაერო ძალები აცილებდნენ ხელში ჩაგდებულ აირბუსს ქვიპროსამდე

სამხედრო-საჰაერო ძალებმა არ დაუშვეს ეგვიპტის ლაინერის მოხვედრა ისრაელის საჰაერო სივრცეში. როგორც კი აირბუსი პარნაკეში დაჯდა, ისრაელის საბრძოლო თვითმფრინავები დაბრუნდნენ ბაზირების აეროდრომზე. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მონაცემებით, არ არის გამორიცხული, რომ გამტაცებელი აპირებდა ლაინერის მგზავრების გაგზავნას ისრაელში ერთ-ერთ სამიზნეზე.

ობამამ სპეცსამსახურებს დაავალა, გააააქტიურონ ძალისხმევა ისლამური სახელმწიფოს განადგურებისათვის

სპეცსამსახურების თანამშრომლებმა დაარწმუნეს ობამა, რომ შეერთებულ შტატებს ამ მომენტისათვის ემუქრება შეტევები, რომლებიც ანალოგიურია ბრიუსელში მომხდარი ტერორისტული აქტებისა. ამერიკის პრეზიდენტმა თავის მხრივ, მოითხოვა გააძლიერონ ზომები ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ.

SKY NEWS: ისლამური სახელმწიფო თურქეთის სკოლებსა და საბავშვო ბაღებში ტერორისტულ აქტებს გეგმავს

ტელეარხის მონაცემებით, ინფორმაცია მოსამზადებელი „გარდაუვალი“ შეტაკებების შესახებ მიღებულია გასულ კვირას თურქეთის სამხრეთის ქალაქ გაზიანტეპში ისლამური სახელმწიფოს ექვსი ბოევიკის დაპატიმრების შედეგად. ტერორისტების ყველაზე საალბათო თავდასხმის ობიექტი არის სინაგოგა სტამბოლის ბეიოღლუს რაიონში.

გერმანიის ელჩი თურქეთში საგარეო საქმეთა სამინისტროში ერდოღანის შესახებ სატირული ვიდეორგოლების გამო მიიწვიეს

ორწუთიან ვიდეოში, რომელიც აჩვენეს გერმანიის ერთ-ერთ არხზე, საუბარი იყო ერდოღანის ხელგაშლილობის სიყვარულზე, აგერთვე მის მიუღებლობაზე სიტყვის თავისუფლებასა და დემოკრატიის პრინციპებთან დაკავშირებით.

ᲚᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲣᲞᲐᲢᲘᲣᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ „ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲧᲕᲐᲚᲘᲜᲓᲔᲚᲘ ᲓᲦᲔ

ᲫᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲔᲜᲐ, მისი სემანტიკა, სინტაქსი, მორფოლოგია და ლექსიკა (იმავე რუსულის ან ინგლისურისაგან განსხვავებით) სქესობრივ დიფერენცირებას არ იცნობს. მაგრამ ის, რაც ამჟამად ლართან დაკავშირებით ხდება, ნამდვილად იწვევს გარკვეულ ალუზიებსა და მეტაფორულ კავშირებს. ხოლო გენდერული განსხვავებანი თუ არ არსებობს ქართულში – მით უარესი ლარისთვის.

არადა, რა „ამაყად“ გამოიყურებოდა, თითქოს, სხვა რეგიონულ ვალუტებთან, თუნდაც იმავე რუბლთან შედარებით! აზერბაიჯანული „მანათი“ და სომხური „დრამიც“ დაეცნენ, თუმცა არ „დაწვნენ“, რადგან იქ დევალვაცია მიზნობრივად, გეგმაზომიერად და მთავრობისავე გადაწყვეტილებით მოხდა. რუსეთში ვალუტა 120% გაუფასურდა. ამ ფაქტს ხშირად გვამადლიან ოფიციოზი და მთვარობის წარმომადგენლები: „ლარი შედარებით უკეთეს მდგომარეობაშიაო“.

ნავთობზე ფასის რყევით. ასეთი მოკლევადიანი ცვლილებები და „დომხალი“ საგალუტო ბაზარზე (ვიმეორებ) მხოლოდ იმის მაჩვენებელია, რომ მთავრობა ან ვერ ახერხებს მოთოკოს გათავხედებული სპეკულანტები, ან (ბევრად უარესი), თავად მონაწილეობს ამ ოპერაციებში. არ არის აუცილებელი პირადი მერკანტილური ქვენაგრძნობით: თუნდაც საბიუჯეტო პრობლემების გადასაწყვეტად ან ფინანსურ ბაზრებზე სხვადასხვა სარფიან ვალდებულებათა განლაგებისთვის.

* * *

ᲬᲘᲜᲐᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝᲓ ეროვნული ვალუტის მდგომარეობა ყველა ხელისუფლების უმთავრესი თავსატეხი იყო ამ ქვეყანაში: 1995 წლიდან დაწყებული. შემთხვევითი როდია, რომ ედუარდ შევარდნაძემ სწორედ 1995 წელს შემოიღო ლარი, როდესაც მისი გაპრეზიდენტების საკითხი წყდებოდა.

შემდგომი არჩევნების დროსაც, – 1999, 2000 წელს სულ იმას მოითხოვდა მთავრობისგან, „ლარი არ გაგექცეთო“.

მაინც გაექცათ, 2,27-ზეც ავარდა 1,36-დან, მაგრამ კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რომ ეს მომენტალური რყევა კი არ იყო, არამედ ხანგრძლივი პროცესის შედეგად დადგინდა ამგვარი „ეკვილიბრიუმი“. ახლა ბევრად უარესია: ლარი „ხტუნაობს“ დღიდან დღემდე, კვირიდან კვირამდე ათეულობთ პუნქტით, ზოგჯერ დილა-საღამოსაც კი. თანაც არა უმნიშვნელოდ, არამედ არსებითად.

ᲐᲥᲔᲓᲐᲜ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲘ ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲘᲡ ᲒᲐᲙᲔᲗᲔᲑᲐᲐ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘ: ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲘᲜᲕᲔᲡᲢᲔᲑᲚᲘᲨᲛᲔᲜᲢᲨᲘ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ ᲔᲚᲘᲢᲐᲗᲐ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲒᲐᲜ ᲗᲘᲗᲝᲔᲣᲚᲡ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲘ ᲐᲥᲕᲡ. ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲔᲑᲠᲫᲕᲘᲐᲜ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲡᲐᲑᲐᲜᲙᲝ ᲔᲚᲘᲢᲔᲑᲘ, ᲘᲛ�პᲝᲠᲢᲖᲔ ᲝᲠᲘᲔᲜᲢᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲚᲘᲢᲔᲑᲘ, ᲔᲥᲡ�პᲝᲠᲢᲖᲔ ᲝᲠᲘᲔᲜᲢᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲯᲒᲣᲤᲔᲑᲘ, ᲑᲝᲑᲝᲚᲐ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲥᲝᲠᲕᲐᲭᲠᲔᲑᲘ, �პᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲘᲡᲢᲔᲑᲚᲘᲨᲛᲔᲜᲢᲘ ᲓᲐ ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲙᲝᲐᲚᲘᲪᲘᲘᲡ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲓᲐᲯᲒᲣᲤᲔᲑᲐᲜᲘ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛᲐᲪᲐᲐ ᲚᲐᲠᲘ ᲐᲛ ᲓᲦᲔᲨᲘ. ᲓᲐ ᲗᲣ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲛᲐ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲐᲛ ᲕᲔᲠ ᲨᲔᲫᲚᲝ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲗᲝᲙᲕᲐ, ᲬᲘᲜᲐᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝᲓ ᲘᲛᲐᲖᲔ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲪᲘᲡᲮᲔᲨᲘ ᲒᲐᲣᲞᲐᲢᲘᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲓᲠᲔᲑᲘ ᲘᲧᲝ, ᲐᲮᲚᲐ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲕᲐᲚᲣᲢᲘᲡ ᲗᲐᲕᲬᲔᲓᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲒᲐᲣᲞᲐᲢᲘᲣᲠᲔᲑᲐ ᲮᲓᲔᲑᲐ!

ᲠᲔᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲙᲘ, ᲡᲘᲢᲣᲐᲪᲘᲐ ᲑᲔᲕᲠᲐᲓ ᲣᲐᲠᲔᲡᲘᲐ ᲓᲐ ᲐᲘ ᲠᲐᲢᲝᲛ: ᲓᲔᲕᲐᲚᲕᲐᲪᲘᲐ ᲔᲠᲗᲘᲐ, ᲮᲝᲚᲝ ᲛᲣᲓᲛᲘᲕᲘ ᲠᲧᲔᲕᲐ ᲓᲐ ᲤᲐᲡᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲘ ᲞᲔᲠᲛᲐᲜᲔᲜᲢᲣᲚᲘ ᲖᲠᲓᲐ ᲡᲐᲕᲐᲚᲣᲢᲝ ᲑᲐᲖᲐᲠᲖᲔ – ᲛᲔᲝᲠᲔ. ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲕᲐᲚᲣᲢᲐ ᲔᲠᲗᲑᲐᲨᲐᲓ 20-30 ᲞᲣᲜᲥᲢᲘᲗ „ᲮᲢᲘᲡ“ ᲓᲦᲘᲓᲐᲜ ᲓᲦᲔᲛᲓᲔ, ᲔᲡ ᲑᲔᲕᲠᲐᲓ ᲜᲔ�გᲐᲢᲘᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲨᲘᲨᲘ ᲡᲘᲛᲞᲢᲝᲛᲘᲐ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲗᲣᲜᲓᲐᲪ 120% ᲒᲐᲣᲤᲐᲡᲣᲠᲔᲑᲐ, ᲕᲘᲜᲐᲘᲓᲐᲜ ᲘᲛᲘᲡ ᲛᲐᲩᲕᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲖᲝ�გᲐᲓᲐᲓ, ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲐᲠᲐᲯᲐᲜᲡᲐᲚᲘ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲔᲑᲘ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ, ᲑᲐᲖᲐᲠᲡ ᲐᲥᲕᲡ ᲣᲞᲔᲠᲡᲞᲔᲥᲢᲘᲕᲝᲑᲘᲡ, ᲐᲠᲐᲡᲢᲐᲑᲘᲚᲣᲠᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲓᲐ, ᲮᲝᲚᲝ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲑᲐᲖᲠᲘᲡ ᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲗᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲫᲐᲚᲔᲑᲘ თუ გავლენიანი ინდუსტრიულ-ფინანსურ-საბანკო წრეები არაკეთილსინდისიერად იყენებენ შექმნილ ვითარებას, რათა ზემოგება მიიღონ და ფულის სწრაფი ბრუნვით გვარიანი „კუში მოგლიჯონ“.

„ფულის ტრიალი“ იმას ნიშნავს, რომ თუნდაც 1-2 დღის განმავლობაშიც კი, ფინანსური სპეკულაციები უდიდეს მოგებას ტოვებენ და თუ ამ ფინანსურ ჯგუფებს ხელისუფლებამ ლაგამი არ ამოსდო, ისინი სწორედ იმ „ძირითადი ინსტინქტით“ იმოქმედებენ, რომლის თაობაზეც ამერიკელმა რეჟისორმა პოლ ვერხოვენმა, 1992 წელს, ცნობილი სკანდალური ფილმი გადაიღო – შერტონ სტოუნისა და მაიკლ დუგლასის მონაწილეობით.

ამიტომ, „კარგი“ ან „ცუდი“ მთავრობა ის კი არაა, რომელიც დევალვაციის პროცენტული მაჩვენებლებით იწონებს თავს, არამედ ის, ვინც ზემოგებაზე დაგეშილ ბანკირებსა და ფინანსურ სპეკულანტებს არ აძლევს საშუალებას, მოსახლეობა ძარცვონ.

როდესაც სამშაბათს დოლართან ლარის კურსი 2,45-ია ხოლო ხუთშაბათს – 2.24, ეს უკვე ვერ აიხსნება ყბადაღებული სეზონური ფაქტორით ან დოლარის რყევით სხვა მსოფლიო ვალუტებთან (ნეტავ მისი „ჯანმრთელობა“ მოგვცა) ან

ᲖᲔ ᲛᲫᲘᲛᲔ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐᲨᲘ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲔᲑᲐ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲓᲦᲔᲡᲐᲐ: ᲚᲐᲠᲘ ᲐᲠᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡ ᲗᲔᲠᲛᲝᲛᲔᲢᲠᲘᲐ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲒᲣᲜᲓᲘᲡ ᲥᲛᲔᲓᲣᲜᲐᲠᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲑᲐᲠᲝᲛᲔᲢᲠᲘᲪ.

ლარის კურსის ლამის ყოველდღიური „კუნტრუშით“ შეწუხებულ ასეულობით ათას ამომრჩეველს, ვისაც მცირე ბიზნესი მაინც აქვს და არა მხოლოდ პენსიაზეა დამოკიდებული, ნამდვილად ვერ აუხსნი და ვერ დაარწმუნებ, რომ წინა ხელისუფლებამ, რომელთან ერთადაც ქვეყანამ წყეული 9 წელი გამოიარა, მხოლოდ იმიტომ მოახერხა 2008 წლის გამანადგურებელი ომისა და არანაკლებ გამანადგურებელი მსოფლიო ფინანსური კრიზისის ფონზე ლარის სტაბილურობის შენარჩუნება, რომ დასავლეთმა გვარიანი დახმარება გამოგვიყო რუსული აგრესიის კომპენსაციისათვის.

ნამდვილად ასე იყო, მაგრამ საქმე შედეგით იზომება და, ბოლოს და ბოლოს, ამასაც ხომ „მოხერხება“ უნდოდა?!

გარდა ამისა, ამომრჩეველი, რომელსაც ამერიკაში undecided უწოდებენ და ჯერ არ აქვს გადაწყვეტილი, ვის მისცემს ხმას, საკმაოდ მარტივი მოსაზრებებით ხელმძღვანელობს: „მიშა ხომ ახერხებდა, კურსს არ „ეხტუნავა“ და ფინანსურ სპეკულანტებს ადამიანები კაპიკ-კაპიკ არ ეძარცვათ?“ დიახ, ახერხებდა! დღევანდელი ხელისუფლება ახერხებს? – გამოდის, ვერა!“ და თუ „ვერა“, მისი ბედიც გადაწყვეტილია როგორც მინიმუმ იმით, რომ „ოცნების“ პოტენციური ამომრჩეველი არ მივა არჩევნებზე. მივლენ „მიშისტები“, რომლებიც ბევრად კონსოლიდირებულნი და პასიონარულნი არიან წინა არჩევნებში დამარცხების მეოთხე წლისთავზე.

* * *

2012 ᲬᲚᲘᲡ 1 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲡ თუ გავიხსენებთ, „ნაციონალთა“ დამარცხება, უპირველესად, იმან განაპირობა, რომ მათი ამომრჩეველი საარჩევნო ყუთთან აღარ მივიდა. სამაგიეროდ, მივიდნენ მოწინააღმდეგენი! მიმდინარე წლის შემოდგომისთვის ვითარება, შესაძლოა, სარკისებრი სიზუსტით განმეორდეს, ოღონდ თუ მაშინ შოკის (არმისვლის) მიზეზი ცისფერში გაუპატიურების კადრები იყო, ახლა ეროვნული ვალუტის თავხედური და საჯარო გაუპატიურება ხდება!

პოლიტიკაში „ორჯერ-ორი“ ყოველთვის ოთხია. „ოცნებას“ თუ გადარჩენა უნდა, მან, ჯერ ერთი, „მთავარ ქართველ ბანკირთან“ ბიძინა ივანიშვილთან უნდა მოილაპარაკოს „თამაშის წესებზე“, შემდეგ მისი მეშვეობით და სხვა ინსტრუმენტების გამოყენებით, ქართულ ფინანსურ ბაზარზე მომრავლებული „ზვიგენები“ მოთოკოს და ლარის სიმყარე უზრუნველყოს რაიმე ნიშნულზე მაინც.

თუმცა უბედურება ისაა, რომ 2016 წლის შემოდგომაზე არჩევნები კი არ მთავრდება, არამედ მორიგი საარჩევნო ციკლი იწყება: უკვე 2017 წელს მუნიციპალური არჩევნებია, მერე საპრეზიდენტო და ა.შ. ამდენად, პრობლემა სისტემურია და მთავარი კითხვაც აქ ჩნდება: საერთოდ გააჩნია თუ არა დღევანდელ ხელისუფლებას სისტემური პრობლემების გაცნობიერების, მით უმეტეს მათი გადაჭრის შნო და უნარი – პასუხისმგებლობაზე რომ აღარაფერი ვთქვათ?

ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲘᲜᲬᲙᲘᲠᲕᲔᲚᲘ

ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐᲨᲘ „ᲝᲠᲯᲔᲠ-ᲝᲠᲘ“ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲝᲗᲮᲘᲐ. „ᲝᲪᲜᲔᲑᲐᲡ“ თუ გადარჩენა უნდა, მან, ჯერ ერთი, „მთავარ ქართველ ბანკირთან“ ბიძინა ივანიშვილთან უნდა მოილაპარაკოს „თამაშის წესებზე“, შემდეგ მისი მეშვეობით და სხვა ინსტრუმენტების გამოყენებით, ქართულ ფინანსურ ბაზარზე მომრავლებული „ზვიგენები“ მოთოკოს და ლარის სიმყარე უზრუნველყოს რაიმე ნიშნულზე მაინც.

ᲡᲐᲞᲐᲠᲢᲜᲘᲝᲠᲝ ᲤᲝᲜᲓᲡ ᲘᲝᲠᲓᲐᲜᲔᲚ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲛᲔᲜᲗᲐ ᲓᲔᲚᲔ�გᲐᲪᲘᲐ ᲔᲬᲕᲘᲐ

ᲡᲐ�პᲐᲠᲢᲜᲘᲝᲠᲝ ᲤᲝᲜᲓᲡ საქმიანი ვიზიტით ეწვია იორდანული სამშენებლო-საინვესტიციო კომპანია „Consolidated Construction Company“, რომელიც საქართველოში იორდანელ ბიზნესმენთა დელეგაციის შემადგენლობაში სტუმრობს. დელეგაციაში არიან იორდანიის ბიზნეს ასოციაციისა და ექსპორტიორთა ასოციაციის წარმომადგენლები, ასევე 10-მდე მსხვილი იორდანული კომპანიის ხელმძღვანელები.

„Consolidated Construction Company“ ჯგუფის საქართველოში ვიზიტის მიზანია მსხვილი ინფრასტრუქტურული და დეველოპერული პროექტების იდენტიფიცირება, ასევე საქართველოს ბიზნეს და საინვესტიციო შესაძლებლობების გაცნობა. ფონდის წარმომადგენლებმა სტუმრებს ფონდის პროექტები გააცნეს და ინფორმაცია მიაწოდეს მათ ფონდის სტრატეგიისა და საქმიანობის სფეროების თაობაზე.

„Consolidated Construction Company“ ჯგუფი საქართველოში საქმიანი ვიზიტით, საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ წარმოებული ეკონომიკური დიპლომატიის მიმართულების ფარგლებში იმყოფება. ვიზიტის ორგანიზატორი იორდანიაში საქართველოს საელჩო და საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატაა.

ᲓᲘᲓᲗᲘᲕᲚᲝᲑᲐ ᲐᲭᲐᲠᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲚᲛᲗᲘᲐᲜᲔᲗᲨᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ მთელ ტერიტორიაზე მეტეოროლოგიური პირობები გაუარესდა, ძლერი თოვის გამო განსაკუთრებით რთული ვითარებაა მაღალმთიან რეგიონებში. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის წარმომადგენლები და კონტარქტორი ორგანიზაციები 24-საათიან რეჟიმში აწარმოებენ გზის გაწმენდით სამუშაოებს. გაწმენდითი სამუშაოები ინტენსიურად მიმდინარეობს აჭარის მაღალმთიანეთშიც, კერძოდ, გოდერძის უღელტეხილზე, სადაც ავტოტრანსპორტის მოძრაობა გვიან შემოდგომიდან გაზაფხულამდე იკეტება.

ᲒᲝᲠᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲝᲤᲚᲔᲑᲨᲘ ᲗᲝᲕᲚᲘ ᲛᲝᲕᲘᲓᲐ

ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲔᲑᲘᲡ ინფორმაციით, ე.წ. ზემო მხრის სოფლებში: ზერტი, მეჯვრისხევი და ახალუბანი და მიმდებარე ტერიტორიებზე, თოვლის საფარმა 10 სანტიმეტრს მიაღწია. შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრის ინფორმაციით, ამ დროისთვის აყვავებული ხეხილის დაზიანების ფაქტები არ დაფიქსირებულა.

◎ მშვილდოსნობა

ჩვეულებრივი სცენარი მოულოდნელი ფინალით

ანგბისაში დამთავრდა მშვილდოსანთა საქართველოს ჩემპიონატი, რომელიც ღია სასროლეთზე – ოლიმპიურ, ანუ 70-მეტრიან დისტანციაზე (ჭაბუკებში – 60-ზე) გაიმართა. მედლები სამივე ასაკში გათამაშდა როგორც ქალებში, ისე – ვაჟებში. ჩემპიონატში ქვეყნის ყველა უძლიერესი ჩუბინი მონაწილეობდა.

ქალთა ტურნირი ჩვეული სცენარით დაიწყო, მაგრამ მოულოდნელი შედეგით დასრულდა, რადგან ფინალში ნაკრების ლიდერთა ნაცვლად ხელვაჩაურელი იულია ლობჟანიძე და ბათუმელი ნანა მახარაძე გავიდნენ.

პლეი ოფში ფავორიტთაგან მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონმა ქრისტინე ესებუამ (თბილისი) თანაქალაქელ მედეა აბულაძესთან 0:6 წააგო. მესამე წრეში მას ევროპის ვიცე-ჩემპიონი და საქართველოს მშვილდოსნობის ფედერაციის პრეზიდენტი ხათუნა ნარიმანიძე (ხელვაჩაური) მიჰყვა – მეორე წრეში ასმათ დიასამიძის ძლევის (6:2) შემდეგ ნანა მახარაძესთან (ბათუმი) 4:6 წააგო.

მეორე ნახევარფინალში ლობჟანიძემ შედარებით იოლად იმარჯვა აბულაძესთან – 6:0 (მანამდე თანაგუნდელ ციკო ფუტკარაძესაც დააყრევინა ფარ-ხმალი). ფინალშიც იულიას უპირატესობა აშკარა იყო. მართალია, პირველი ხელი მახარაძემ მოიგო – 28:24, თუმცა, შემდეგ ლობჟანიძემ იძალა და მეტოქე 28:23; 29:26; 27:26 დაჯაბნა და ოქროს მედალი მოიპოვა. „ბრინჯაო“ ნარიმანიძეს ერგო – აბულაძეს 6:0 აჯობა.

გოგონებში ციკო ფუტკარაძემ გაიმარჯვა – ფინალში მან მედეა აბულაძე დაამარცხა (26:25; 26:18; 27:21). ბრინჯაოსთვის შეხვედრაში ხელვაჩაურელმა ანა დუმბაძემაც ასეთივე ანგარიშით მოუგო ბათუმელ მარიკა მახარაძეს (ნანა მახარაძის დას).

უფროსებში ვაჟთა ტურნირის ნახევარფინალში ლაშა ფხაკაძემ (ქუთაისი) თანაგუნდელ ჯაბა მოსეშვილს მოუგო 6:2, გადამწყვეტ პაექრობაში კი ზურაბ მესტვირიშვილს (თბილისი) აჯობა 7:1 და ჩემპიონობა მოიპოვა. ვერცხლი მესტვირიშვილს ერგო, „ბრინჯაო“ კი ლეკვეიშვილის მძლეველ (6:2) მოსეშვილს ხვდა.

მესტვირიშვილს ოქროს მოპოვების შანსი ახალგაზრდებშიც ჰქონდა, ნახევარფინალსაც უწია, მაგრამ მერე უმედლოდ დარჩა. არადა, ნახევარფინალში ბათუმელ ნიკა თავდგირიძეს 5:1-ს უგებდა, მაგრამ ძირითადი დრო ფრედ – 5:5 დასრულდა, დამატებითი ისარი კი უფრო ზუსტად თავდგირიძემ ისროლა – 9:8 და ფინალშიც გავიდა, ხოლო მესტვირიშვილი ბრინჯაოსთვის შეხვედრაში ვლადიმერ დოლიძესთან (თბილისი) 2:6 დამარცხდა.

მეორე ნახევარფინალი ხელვაჩაურელმა ანრი ბასილაძემ დოლიძეს მოუგო. ამდენად, ახალგაზრდულ ფინალში ჭაბუკთა ნაკრების წევრები – თავდგირიძე და ბასილაძე დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ბასილაძემ 6:5 იმარჯვა და ჩემპიონი გახდა.

ჭაბუკები. 1. ანრი ბასილაძე (ხელვაჩაური), 2. საბა გათენაძე (ბათუმი), 3. ნიკა თავდგირიძე (ბათუმი).

გოგონები. 1. ანა დუმბაძე (ხელვაჩაური), 2. ვერიკო მაკიევი (თბილისი), 3. ანა ცხომელიძე (ხელვაჩაური).

ლაშა დიდია

სურათებზე: იულია ლობჟანიძე; ლაშა ფხაკაძე.

◎ ნიჩბოსნობა

კაპარჭინაზე - კანოე-ბაიდარათი

ადგილობრივი, მცხეთისა და დუშეთის 38 სპორტსმენი მონაწილეობდა ფოთში მდინარე კაპარჭინაზე გამართულ კანოესა და კაიაკში (ბაიდარა) საქართველოს საგაზაფხულო პირველობაში. მოასპარეზენი სამ ასაკში ეცილებოდნენ ერთმანეთს საპრიზო ადგილებს 200 და 500 მეტრ დისტანციებზე. ეს შეჯიბრება შესარჩევი ღონისძიებაც იყო 1-4 აპრილს მინგეჩაურში დაგეგმილ აზერბაიჯანის პრეზიდენტის სახელობის რეგატაში საასპარეზოდ გუნდების დასაკომპლექტებლად. 1999 წელს და უფრო ადრე დაბადებულ ნიჩბოსანთა შორის მცხეთელმა გიორგი ოგბაიძემ კაიაკში ოთხი პირველი ადგილი დაიკავა ერთ და ორადგილიანი ნავებით (თანაქალაქელ გიორგი რთველიაშვილთან ერთად) 200 და 500 მეტრზე პაექრობაში. ამავე ასაკში ნინო ჯიქურაულმა (დუშეთი) ერთადგილიანი ნავით 200 მეტრზე, გიორგი შაბურიშვილმა (დუშეთი) კი ერთადგილიანი კანოეთი 500 მეტრზე გაიმარჯვა.

მარი ქერდიკაშვილი

2001-2002 წლებში დაბადებულთა შორის ფოთელმა გიორგი ქაჯაიამ იყოჩაღა – მანაც ოთხი პირველი ადგილი დაიკავა: ერთადგილიანი კაიაკით 200 და 500 მეტრზე, აგრეთვე ამავე დისტანციებზე ფოთელ გიორგი გოგიჩაიშვილთან ერთად ორჯერ პირველმა გადაკვეთა ფინიშის ხაზი. სალომე ჯიქურაულმა (დუშეთი) ერთადგილიანი კაიაკით ორი ოქროს მედალი დაიმსახურა 200 და 500 მეტრზე გამარჯვებისთვის. მცხეთელმა ნიკოლოზ ხატიაშვილმა ერთადგილიანი კანოეთი 200 მეტრზე გაიმარჯვა, მარი ქერდიკაშვილი 200 და 500 მეტრზე იყო საუკეთესო.

2002 წელს და უფრო გვიან დაბადებულთა შორის დუშელმა ჯუბა ჩხუტიაშვილმა კაიაკით ოთხჯერ გადაკვეთა ფინიშის ხაზი პირველმა: ორჯერ (200 და 500 მ) ერთადგილიანი, ორჯერ კი – ორადგილიანი ნავით გიორგი ყარსიმაშვილთან (დუშეთი) ერთად, ხოლო მცხეთელმა თამთა ოდიშელიძემ ერთადგილიანი კაიაკით 200 მეტრზე მოიპოვა ჩემპიონობა.

ლექსო ცინცაძე

◎ ჭადრაკი

კარლსენთან თამაშის უფლება კარიაკინმა მოიპოვა

დასრულდა ვაჟთა შორის ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონატის პრეტენდენტთა ტურნირი, რომელსაც მოსკოვი მასპინძლობდა. 14 შესაძლებლიდან 8.5 ქულით პირველი ადგილი და მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონ მაგნუს კარლსენთან (ნორვეგია) თამაშის უფლება სერგეი კარიაკინმა (რუსეთი) მოიპოვა.

პრეტენდენტთა ტურნირში, რომელსაც მოსკოვის ცენტრალური ტელეგრაფის შენობა მასპინძლობდა, მსოფლიოს რვა საუკეთესო მოჭადრაკე – სერგეი კარიაკინი(რუსეთი), ვიშვანათან ანანდი(ინდოეთი), ვესელინ ტოპალოვი(ბულგარეთი), ჰიკარუ ნაკამურა(აშშ), პიოტრ სვიდლერი (რუსეთი), ლევონ არონიანი(სომხეთი), ანიშ გირი (ჰოლანდია) და ფაბიანო კარუანა (აშშ) მონაწილეობდა. მათ შორის ყველაზე ტიტულოვანი ანანდია, რომელიც რამდენჯერმე იყო მსოფლიოს ჩემპიონი. მას საჭადრაკო გვირგვინი კარლსენმა ჩამოართვა. მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულს ტოპალოვიც ფლობდა.

ასპარეზობა ორ წრედ – 14 ტურად ჩატარდა. მოვლენები ისე განვითარდა, რომ ბოლო ტურში ერთმანეთს 7.5-7.5 ქულით სატურნირო ცხრილის სათავეში მყოფი კარიაკინი და კარუანა დაუპირისპირდნენ. პირველი ადგილის დასაკავებლად კარიაკინს ყაიმიც ჰყოფნიდა, ხოლო კარუანას მხოლოდ მოგება სჭირდებოდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, კარუანა იძულებული იყო შეეტია მეტოქისათვის. იერიშში გართული ოპონენტის შეცდომით კარიაკინმა ისარგებლა, რომელმაც შეძლო მისი დამარცხება და უაღრესად მნიშვნელოვანი გამარჯვების მოპოვება.

პირველ ადგილზე გასულმა კარიაკინმა 14 პარტიიდან 4 მოიგო, 9 ყაიმით დაასრულა და მხოლოდ ერთი წააგო, ისიც ყველაზე ტიტულოვან ანანდთან, რომელმაც კარუანასთან ერთად 2-3 ადგილები გაიყო.

ამ ტურნირში დაუმარცხებლად მხოლოდ სოფო გურამიშვილის მეუღლემ, გირმა იასპარეზა, რომელმაც ყველა პარტია ყაიმით დაასრულა.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ კარატე

7 „ოქრო“ და 1 „ვერცხლი“ ისრაელიდან

ახლახან ისრაელის ქალაქ ორაკივაში გაიმართა ყოველწლიური საერთაშორისო ტურნირი კარატეში, სადაც საქართველოს შოტოკან კარატე-დოს კონფედერაციის გუნდიც მონაწილეობდა (გუნდის მთავარი ინსტრუქტორი მზეჭაბუკ მახარაძე, V დანი). ტრადიციისამებრ, ამ შეჯიბრზე შთამბეჭდავად გამოვიდნენ ჩვენი კარატისტები.

ტურნირის ჩემპიონები და პრიზიორები გახდნენ:

ანდრია კარბაია – 11-12 წლის ვაჟთა შორის ინდივიდუალური კატა და ინდივიდუალური კუმიტე, I ადგილი.

ირაკლი ხოჭავა – 13-14 წლის ვაჟთა შორის ინდივიდუალური კუმიტე, I ადგილი, ინდივიდუალური კატა, II ადგილი.

თენგიზ მაზმიშვილი – 15-16 წლის ვაჟთა შორის ინდივიდუალური კატა და ინდივიდუალური კუმიტე, I ადგილი.

ლევან გელდიაშვილი – უფროსთა შორის ინდივიდუალური კუმიტე, აბსოლუტური წონითი კატეგორია, I ადგილი.

გუნდური კატა ახალგაზრდებში 20 წლამდე, I ადგილი.

ეს ასპარეზობა გაიმართა ისრაელის შოტოკან კარატე-დოს საბრძოლო ხელოვნების ფედერაციის ორგანიზებით, რომლის პრეზიდენტია IX დანის მფლობელი ვიქტორ რაბაევი.

დავძენთ, რომ ჩვენმა გუნდმა გასულ თვეში მონაწილეობა მიიღო ირანის დედაქალაქ თეირანში გამართულ XI საერთაშორისო ყოველწლიურ ტურნირზე (უკვე მეოთხედ) და, როგორც ყოველთვის, გუნდი ყველა სინჯის მედლებით დაბრუნდა სამშობლოში.

ამ ტურნირის ჩემპიონები და პრიზიორები გახდნენ:

დავით ზოზიაშვილი – 16-17 წელი (კადეტები), +60 კგ, I ადგილი,

დავით ზოზიაშვილი – 18-20 წელი (ახალგაზრდები) +84 კგ. I ადგილი

მზეჭაბუკ მახარაძე – უფროსთა კატეგორია, ინდივიდუალური კატა, II ადგილი.

ნოდარ ხაჩიშვილი – ვეტერანთა კატეგორია, ინდივიდუალური კატა, II ადგილი.

კობა კობახიძე

◎ ინტერნეტიდან

მარიკა ფრუშო მკერდის დაპატარავებას აპირებს

იტალიის საფეხბურთიო ნაკრებისა და „ნაპოლის“ დიდებული თილისმა, მკერდზანზარა და მკერდდიადი მოდელი და ტელეწამყვანი მარიკა ფრუშო თურმე ნუ იტყვით და არც მეტი, არც ნაკლები, საკუთარი მკერდის გრანდიოზულობამ შეაწუხა და უკვე სერიოზულად დაფიქრდა ზომების მიღებაზე.

როგორც მარიკა აპენინელ მოკალმეებს გამოუტყდა, იგი მკერდის დაპატარავებაზე ფიქრობს, რადგან შეიძლება ბევრ მამრს ძალიანაც მოსწონს მისი ფუმფულა და რუსეთის იმპერიასავით უზარმაზარი მკერდი, მაგრამ მას ეს ძალიან აწუხებს, რადგან იცის, რომ დადგება დრო, როდესაც დიდი მკერდი ფორმას დაკარგავს და მისი სიცქვიტის შესანარჩუნებლად მუდმივი ქირურგიული ჩარევები გახდება საჭირო.

დღეს, როდესაც ლამაზმანთა აბსოლუტური უმრავლესობა მკერდის გადიდებაზე ოცნებობს და ზოგი აკი იხდენს კიდეც ამ ოცნებას, მარიკა ფრუშოს სრულიად საპირისპირო სურვილები ჰქონია და მკერდის დაპატარავება უნდა. იმედია, სენიორიტა მარიკა გადაიფიქრებს ამას, თორემ პატარამკერდიანი მარიკა ფრუშო და უფულო ყოფილი მილიარდერი ვის რად უნდა?

როსტომ რაჭველიშვილი

◎ დედაქალაქი

„ტროტუარი ხალხისაა“, მაგრამ... ხალხს - ხვიშტი!

ქვეითად მოსიარულეთა პრობლემები

როგორც ვიუწყებოდით, 26 მარტს თბილისში, ჭავჭავაძის გამზირზე, არასამთავრობო ორგანიზაციათა ერთმა ნაწილმა და ქვეითად მოსიარულეებმა გამართეს აქცია, სახელწოდებით „ტროტუარი ჩვენია“, რომლის მთავარი მიზანიც მძღოლებისათვის იმის შეხსენება იყო, რომ არ დაიკავონ ისედაც გადატვირთულ თბილისის ქუჩებში ქვეითებისთვის განკუთვნილი ტერიტორია. აქციის მონაწილეები მოუწოდებდნენ ასევე საპატრულო პოლიციას დროული რეაგირებისაკენ, კონკრეტულად კი, ტროტუარზე მდგომი ავტომობილებისგან ქვეითების სივრცის გათავისუფლებისა და, საჭიროების შემთხვევაში, მათი დაჯარიმებისკენ.

„ტროტუარი ჩვენია“, „გადადი ზებრაზე“, „მძღოლო, გზა დაუთმე ქვეითს“, „ყოველ 6 წამში ერთხელ ავტოავარიაში 1 ადამიანი იღუპება“, „აქ არ დააყენო“, - ამ შინაარსის პლაკატები ეჭირათ აქციის მონაწილეებს 26 მარტს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის წინ გამართულ აქციაზე. ისინი არა მხოლოდ ტროტუარზე ავტომობილების გაჩერებას აპროტესტებდნენ, არამედ, ზოგადად, მოუწესრიგებელ საგზაო მოძრაობას. როგორც აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორი, ორგანიზაციის „საქართველოს ალიანსი უსაფრთხო გზებისთვის“ გამგეობის თავმჯდომარე **ეკა ლალიაშვილი** აცხადებს რადიო „თავისუფლებასთან“ საუბარში, ამ აქციით მათ სურთ, მძღოლებს შეახსენონ, რომ ტროტუარი ქვეითად მოსიარულეებს ეკუთვნით, ხოლო მათ კითხვაზე, სად დააყენონ ავტომობილები, შემხვედრი კითხვა ასე ჟღერს: ჩვენ სად გავიაროთ?

„სად გავიაროთ? სად გაიარონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებმა? სად გაიარონ მშობლებმა, რომლებსაც ეტლით მოჰყავთ თავიანთი შვილები? ამიტომ გვინდა, რომ ეს აქცია არ იყოს ერთჯერადი და ჰქონდეს მუდმივი ხასიათი. ჩვენ ისედაც სულ გვაქვს ხელისუფლებასთან კომუნიკაცია და ხშირად ვახსენებთ მათ, დაიწყონ კანონმდებლობის აღსრულება — ჩვენ ვფიქრობთ, რომ საცობის შექმნის გამო მხოლოდ 200-ლარიანი ჯარიმა არ არის საკმარისი, გვინდა, ქვეითების გზასაც მიაქციონ ყურადღება და ტროტუარზე პარკირებისათვის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ათლარიანი ჯარიმაც გამოწერონ“.

ეკა ლალიაშვილი ამბობს — თბილისში დღეს უკვე იმდენი ავტომობილია, რომ ვერანაირი ავტოსადგომი მოთხოვნას ვერ დააკმაყოფილებს:

„თბილისში, დაახლოებით, 40 000-მდე ავტოსადგომია და 400 000 ავტომობილი. როგორ წარმოგიდგენიათ ამდენი ავტომობილის მოთხოვნა დაკმაყოფილდეს? გამორიცხულია. ვერც ამდენი ავტოსადგომი აშენდება. ჩვენი სტრატეგია ის არის, რომ ქალაქის ცენტრალურ ქუჩებში ვიაროთ ფეხით. გამოვიყენოთ საზოგადოებრივი ტრანსპორტი და, რაც მთავარია, მოვთხოვოთ ხელისუფლებას ამ ტრანსპორტის გაუმჯობესება. სხვანაირად ეს პრობლემა ვერ გადაწყდება“.

აქციას შეუერთდა საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებაც, რომელიც საგზაო უსაფრთხოების პროექტს 2014 წლიდან ახორციელებს. წითელი ჯვრის კომუნიკაციის მენეჯერი **თეონა ნავდარაშვილიც** აქციაზე იმ მიზნით მოვიდა, რომ მოუწოდოს მძღოლებს, არ დააყენონ ავტომობილი ტროტუარზე:

„აი, მე აღმაშენებლის გამზირზე ვცხოვრობ და ადგილი არ არის, სადაც ეს პრობლემა არ იყოს. ყველგან მანქანებია, ყველგან. ვერ გაივლი. ვერ გადაადგილდები. თუმცა, მძღოლების თვალით რომ შეხედო ამ პრობლემას, ეგეც გასაგებია — ქალაქში არ არის ადგილი, სადაც ავტომობილს დააყენებდნენ. ამიტომ მგონია, რომ ხელისუფლებამ უნდა მოძებნოს გზა ამ პრობლემის მოსაგვარებლად“.

„საქართველოს საავტომობილო ფედერაციის“ პრეზიდენტის, თბილისის საკრებულოს წევრის **შალვა ოგბაიძის** აზრით, არავითარი გამართლება არა აქვს იმას, რომ რაკი დედაქალაქში პარკირების ადგილების ნაკლებობაა, ავტომობილებმა ტროტუარზე იაროონ. ეს მიდგომა პრობლემას ვერ გადაჭრის, აცხადებს ოგბაიძე:

„მხოლოდ განათლება თუ გადაწყვეტს ამ პრობლემას, ოღონდ ეს განათლება სკოლამდელ ასაკში უნდა დაიწყოს, ბაღიდან. მერე გაგრძელდეს სკოლასა და უნივერსიტეტში, რაც ასე, ეტაპობრივად, განაპიროებებს მაღალი კულტურის მქონე მძღოლის და საგზაო მოძრაობის მონაწილის აღზრდას. დიახ, ამას სწავლა სჭირდება. და რაც შეეხება პარკირებას ტროტუარზე, ერთი მარტივი პასუხი მაქვს: ტროტუარი ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს ადგილს ნაბიჯებით, ფეხით სიარულისათვის. შესაბამისად, ტროტუარი დავუთმოთ ქვეითებს“.

აქციის მონაწილე **გიორგი სხირტლაძე** კი ამბობს, რომ, გადატვირთული ტროტუარების გარდა, არანაკლები პრობლემაა ზებრაზე ქვეითებისთვის გზის დათმობაც.

„ასეთ ადგილებშიც კი, სადაც გზა დახაზულია, სადაც ყველა ხედავს, რომ ზებრაა და ფეხით მოსიარულეების გზაა, გზის გადაკვეთა რთულია. არც შუქნიშანს აქცევენ ყურადღებას. რამდენჯერ მინახავს, რომ პატრულის მანქანას თავად გაუვლია წითელ შუქზე“.

აქციის მონაწილეებმა, პლაკატებით ხელში, ჯერ უნივერსიტეტის პირველი კორპუსის მიმდებარე ტროტუარი დაიკავეს, შემდეგ კი, წესების დაცვით, მიწისქვეშა გვირაბით მეორე მხარეს გადავიდნენ და სვლა გაგრძელეს ჭავჭავაძის გამზირზე ქვეითებისთვის განკუთვნილი გზით — ტროტუარზე.

26 მარტს გამართულ აქციას თბილისის მერი დავით ნარმანია გამოეხმაურა. მისი განცხადებით, თბილისში პარკირება1500-მდე ადგილზე გაუქმდება, თუმცა, პარალელურად, დაგეგმილია მრავალსართულიანი ავტოსადგომის მშენებლობა. საჭირო დოკუმენტაცია, როგორც მერმა განაცხადა, სამ კვირაში იქნება მზად, რის შემდეგაც მომზადდება საინვესტიციო პროექტები ქალაქში მრავალსართულიანი პარკინგების მშენებლობის დასაწყებად.

ეკა ძევანიშვილი

◎ წიგნი

„ჩემო მზისსადარო“

ყველაფერი 1935 წლის პაპანაქება ზაფხულში დაიწყო. ასეთი სიცხეები კარგა ხანია, არ ახსოვდა ლენინგრადს. სუნთქვა ჭირდა. სამხედრო მფრინავ, ახალგაზრდა კაპიტან კონსტანტინე ჟუკოვს წინ დიდი ბედნიერება ელოდა — მისი მეუღლე ანასტასია პირველ შვილს ელოდებოდა. სწორედ აგვისტოს იმ დღეს ქვეყანას ტყუპი ქალ-ვაჟი მოევლინა. ბედნიერმა კონსტანტინემ და ანასტასიამ პატარებს რუსლანი და ლუდმილა დაარქვეს.

ასე იწყება ცნობილი პუბლიცისტის, ისტორიკოს-ფილოლოგის **რობერტ მეგრელის** ვრცელი მოთხრობა **„ჩემო მზისსადარო“**, რომელიც ავტორმა უსაყვარლესი მეუღლის **ლუდმილას** ხსოვნას მიუძღვნა. ეს დოკუმენტური მოთხრობა დიდ სიყვარულზე მოგვითხრობს, მოგვითხრობს ადამიანის დანიშნულებაზე ცხოვრებაში და იმ გარემოსთან ურთიერთობაზე, სადაც ცხოვრება და მოღვაწეობა უწევს. მიუხედავად გადატანილი დიდი უბედურებებისა და გაჭირვებისა (დიდი სამამულო ომი, ამ ომს შეწირული საყვარელი ადამიანები, ლენინგრადის ბლოკადა, შიმშილი და სიკვდილთან თვალებში ჩახედვა, ბავშვთა სახლი და ახალი ნავსაყუდელი — საქართველო), ადამიანი მაინც არ უნდა ღალატობდეს თავის ძირითად პრინციპებს — სიყვარულს, ერთგულებას, პატრიოტიზმს. სწორედ ეს პრინციპები გადაარჩენს ადამიანს. მართალია, ავტორი რეალურ ფაქტებსა და მოვლენებს აღწერს, მაგრამ მკითხველს ამცნობს, რომ ზოგიერთ პერსონაჟთა სახელები შეცვლილიაო.

ვინც ბატონ რობერტს იცნობს, ვინც მის საახლობლო წრეს წარმოადგენს, ადვილად ამოიცნობს ყველა პერსონაჟს, მიუხედავად სახელის შეცვლისა. ეს ხალხი მისი ცხოვრების განუყოფელ ნაწილს შეადგენს. წიგნი წლეულს გამოიცა და რუსულ ენაზეა დაწერილი. მეტად საინტერესოდ იკითხება და დიდი პროფესიონალის ხელიც ეტყობა. სასურველი იქნება შეძლებისდაგვარად მისი ქართულ ენაზე გამოცემაც.

ავთანდილ ბექაური

რევაზ, ზაზა, ნიკო თევზაძეები ოჯახებით ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ჩვენი ოჯახის ახლობლის, შესანიშნავი პიროვნების, ბატონ

ანრი გურჯიშვილის

გარდაცვალების გამო, თანაგრძნობას უცხადებენ მის მეუღლეს, ქალბატონ ინგას და ოჯახის წევრებს.

დავით ოთხმეზურის მკვლელობა გახსნილია

საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ გახსნილია ქ.თბილისში, 2004 წლის 27 ოქტომბერს მომხდარი დავით ოთხმეზურის გახმაურებული მკვლელობის ფაქტი. დაკავებულია განზრახ მკვლელობისთვის ბრალდებული ასლან ბეჟანიძე.

ამ ფაქტზე გამოძიება 2004 წელს დაიწყო, თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ მკვლელობა ხალხმრავალ ადგილას მოხდა, სამართალდამცავების მიერ დანაშაული ცხელ კვალზე ვერ იქნა გახსნილი. 2015 წლის მარტში, საქართველოს პროკურატურამ მოცემულ საქმეზე გააქტიურა გამოძიება, ჩატარდა არაერთი საგამოძიებო მოქმედება, მოძიებული და დაკითხული იქნენ მკვლელობის უშუალო თვითმხილველები, ჩატარდა ფარული საგამოძიებო მოქმედებები, რის შედეგადაც გამოძიების მიერ სრულად იქნა აღდგენილი 12 წლის წინ ჩადენილი გახმაურებული მკვლელობის გარემოებები.

ასლან ბეჟანიძე, 2016 წლის 26 მარტს სასამართლოს განჩინების საფუძველზე დაკავებული იქნა ბრალდებულის სახით. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით წარედგინა და თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა. საქმეზე გრძელდება გამოძიება, სსკ-ის 108-ე მუხლით, რაც სასჯელის სახედ და ზომად შვიდიდან თხუთმეტ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს...

ქურდები აიყვანეს

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა სამმართველოს და იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თერჯოლის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, წარსულში ნასამართლევი პირები: 1978 წელს დაბადებული მალხაზ დ., 1972 წელს დაბადებული ხვიჩა მ., 1982 წელს დაბადებული ზაზა დ. და 1964 წელს დაბადებული დავით კ. ქურდობის ბრალდებით თბილისში დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულები თბილისში, ფანასკერტელ-ციციშვილის ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთი საცხოვრებელი ბინის გაქურდვის შესახებ წინასწარ შეთანხმდნენ, რაც სისრულეში 23 მარტს, დილის საათებში მოიყვანეს. ბრალდებულებმა საცხოვრებელი ბინის შესასვლელი კარის საკეტი გატეხეს, ბინაში შეაღწიეს, ძვირფასეულობა და ფული მოიპარეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულების პირადი ჩხრეკისას მოპარული ძვირფასეულობა და ფული ნივთმტკიცებად ამოიღეს. ზარალმა 14307 ლარი შეადგინა.

◎ კაკალ გულში

გაზაფხული მარტო კალენდარზეა?!

● ბიძინამ რესპებიც გადარგო, ოღონდ ამჯერად ედემიდან ულრან ტყეში!!!

● ეს ყველაფერი, რასაც საქართველოს პარლამენტის წევრები ამბობენ, ნეტა, სხვა ქვეყნიდან მესმოდეს, აუუ, რას ვიკაიფებდი! მარა, იმ სხვა ქვეყანას რას ვერჩი?

● რესპუბლიკურ პარტიას „ეროვნული კომიტეტი“ ჰქონია!

დედას გეფიცებით, არ ვხუმრობ. რომ გავიგე, ლუდი თავის ბაკლიანად კინაღამ გადამეყლაპა! კოტე აფხაზი, ალბათ, საფლავში გადაბრუნდებოდა...

● ხალხო, კაცებს ხმარობდნენ, შვილებს უკლავდნენ ხალხს, გვიჭერდნენ, ციხეში ცემდნენ, აუპატიურებდნენ, ამცირებდნენ, გულს უხეთქავდნენ პატიმრებს, ბიზნესმენებს აქრობდნენ, ზღვაში თავში საკონტროლო გასროლით მოკლულებს და კისერზე ბეტონგამობმულებს აგდებდნენ — რა ეკონომიკურ წინსვლაზე, წინასაარჩევნო დაპირებებზე და რაის ნაციონალ ჩიკატილოების დაბრუნებაზე ლაპარაკობთ, გაგიჟდით? ფანტასტიკის სფერო მაგათი დაბრუნება ხელისუფლებაში, მაგრამ იდეაში ძალიან მინდა დაბრუნდნენ და ისევ დაგერიონ, მე ხმის ამომღები არა ვარ.

● პატარა ბავშვს რომ მშობლების თანდასწრებით ეკითხებიან, — დედა უფრო გიყვარს თუ მამაო? — და უხერხულ მდგომარეობაში აყენებენ, ასეთივე სიყვარულის ორ ცეცხლს შუა ვიყავი, როდესაც ინგა გრიგოლიას და მის სტუმარ უჩა ნანუაშვილს ვუმზერდი. კიდევ კარგი, შემკითხველი არავინ იყო.

● ახალგაზრდობაში დასავლეთთან ნაკლები კავშირი რომ იყო, ვიღაცის ზოგ ნამდვილ, ზოგ მოგონილ ისტორიას გულისყურით ვისმენდით.ერთ-ერთი ეგეთი ისტორია იყო: ალფრედ ხიჩკოკი ჩაკეტეს კინოთეატრში და თავისი გადაღებული „უჟასები“ აყურებინესო (ცუდად გამხდარა, საცოდავი). ეს გამახსენდა და სიამოვნებით ჩავკეტავდი „ნაცებს“ და ვაყურებინებდი თავის ნამოქმედარს,ეგება ვინმეს ნამუსი გაღვიძებოდა და მინიმუმ აღარ ებლატავა! მაგრამ ვაი რომ, ეს ფანტაზიად დარჩება!!! სიმსივნე უნდა მოიკვეთოოოოოს!!

● გაზაფხული მარტო კალენდარზეა?!

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

გამოიწერეთ:
6 თვით — 60 ლარი,
1 წლით — 120 ლარი.
მიმართეთ: „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია — 2 93 37 87; 599 79 76 79; „მაცნე“ — 2143906; „ელვასერვისი“ — 2 388 012; „პლანეტა-ფორტე“ — 2 988 990; „პრესა-2012“ — 2341140; „ოლიმპი“ — 599 15 19 69; „პრესა+“ — 551555444; „ჯეომედია“ — 593 977 888.
ჩვენი მისამართია:
ქ. თბილისი, ი. მაჩაბლის 7.
ხელმოწერის ინდექსი
66434

რომანოვები ბრუნდებიან?

ლენინგრადის ოლქის საკანონმდებლო სათათბიროს დეპუტატის ვ. პეტროვის ინიციატივით, რომანოვების სახლის წარმომადგენლებს, თავადის ასულ მარია ვლადიმიროვნასა (ესპანეთი) და თავად დიმიტრი რომანოვიჩს (დანია) ოფიციალურად შესთავაზეს მუდმივად საცხოვრებლად რუსეთში დაბრუნება.

დეპუტატის წინადადებით, რუსეთის სამეფო დინასტიის შთამომავლებს საცხოვრებლად შესაძლოა, სანკტ-პეტერბურგში ან ყირიმში ერთ-ერთი მიტოვებული სასახლე გამოუყონ.

რუსეთის რომანოვების საიმპერატორო სახლის კანცელარიის დირექტორის ალექსანდრე ზაკატოვის განცხადებით, თავადის ასული მარია ვლადიმეროვნა თანახმაა რუსეთში საცხოვრებლად ჩასვლაზე, ოღონდ ყველაფერი ოჯახის ღირსების შესაფერისად უნდა მოხდეს.

— მას არც საკუთრების, არც პოლიტიკურ უფლებამოსილებათა

პრეტენზია აქვს, მაგრამ სურს, რომ, ისევე, როგორც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, საიმპერატორო სახლი ისტორიულ ინსტიტუციას წარმოადგენდეს. ეს სამართლებრივ აქტში უნდა იყოს ასახული, — აღნიშნა ბატონმა ზაკატოვმა.

ძოდ, ფოლაქები ევროპაში მე-16 საუკუნეში გაჩნდა და იმის გამო, რომ დიდებულთათვის მათ ძვლისგან და ლითონებისგან აკეთებდნენ, თანაც ხშირად ძვირფასი ან ფერადი ქვებითაც რთავდნენ, ისინი ძალიან ძვირი ღირდა, ღარიბი ხალხი კი ხის ღილებს ხმარობდა. ამასთან, ღილები არისტოკრატების სამოსელის სამშვენისის როლს ასრულებდნენ. მდიდარ ქალბატონებს მოსამსახურეები აცმევდნენ, ამიტომაც მათ სამოსელზე ღილებს მარცხენა მხარეს აკერებდნენ, რათა შეკვრა გაადვილებოდათ. მამაკაცები კი, უმეტესწილად, თავადვე იცვამდნენ.

მამაკაცებისთვის უფრო მოსახერხებელი იყო მარჯვენა ხელის, რომლითაც იარაღი ეჭირად, უბეში გათბობა, რასაც ღილები ხელს არ უშლიდა, ქალებისთვის კი ჩვილისთვის ძუძუს მიცემა და ბავშვის მარცხენა ხელზე გადაწვენა, რა დროსაც მარჯვენა თავისუფალი ჰქონდათ.

ქალები და მამაკაცები: ღილებსაც სხვადასხვა მხარეს ვიკერებთ!

არასდროს დაკვირვებულხართ, რატომაა, რომ მამაკაცების სამოსელზე ღილები მარჯვენა მხარესაა დაკერებული, ქალებისაზე კი მარცხენაზე?

ამ ერთობ სახალისო კითხვაზე ცნობილი მოდელიერი ვიაჩესლავ ზაიცევი ამბობს, რომ ამის თაობაზე ზუსტი პასუხი არავინ იცის, თუმცა კი არსებობს ახსნის გარკვეულწილად ლოგიკური ვერსიები. კერ-

კრიტიკული „წლისთავი“

მეცნიერებმა დაადგინეს, რომ სექსუალური ლტოლვის დონე ურთიერთობის 12 თვის შემდეგ კლებულობს.

აღმოჩნდა, რომ ერთი წლის ერთობლივი თანაცხოვრების შემდეგ პარტნიორის მოთხოვნილებათა ცნობის სურვილი მნიშვნელოვნად მცირდება. საგულისხმოა, რომ ამ ტენდენციაზე არც ასაკი, არც ურთიერთობათა ფორმა, არც შვილების ყოლა არანაირ ზეგავლენას არ ახდენს.

მაგრამ ფსიქოლოგები ხაზს უსვამენ იმ გარემოებასაც, რომ ამის შემდგომ მეუღლეები კვლავ ერთმანეთის ახლობლობის ლტოლვას განიცდიან და ერთურთს უკვე სულ სხვანაირად აფასებენ.

„მარადიული სიყვარულის“ მსხვერპლი

რუსეთის ქალაქ ტომსკში ადგილობრივმა მცხოვრებმა ვლადიმერ შაკალოვმა ცოლად... პიცა შეირთო. მართალია, საქმრო და „საპატარძლო“ მმაჩის ბიუროში არ შეუშვეს, მაგრამ ქორწინების საზეიმო ცერემონია კაფეში მაინც გაიმართა.

პიცის „ცოლად შერთვის“ იდეა აშკარად დაფერდებული ტვინის პატრონ ბატონ შაკალოვს მაშინ „ესტუმრა“, როცა მან მარტოობას ველარ გაუძლო.

— რაღაც მომენტში მივხვდი, რომ საოცრად გადავიღალე იმის გამო, რომ ჩემი მეგობრების ერთი ნაწილი საოჯახო ცხოვრებაზე წუწუნებდა. მეორე ნაწილიც უცოლობის გამო ტიროდა, — განუცხადა ჟურნალისტებს ახლადდაქორწინებულმა. — ამ დროს ადამიანებს შორის სიყვარული რთული და წინასწარ ძალიან ძნელად განსაჭვრეტია, საკვებისადმი სიყვარული კი მარადიული. პიცა არც საყვედურს გეტყვის, არც გამლანძღავს, არც სახლიდან გამაგდებს. ამიტომაც მე ის გულით მიყვარს.

როგორი იქნება მათი სიყვარული ერთ კვირაში, როცა პიცა „დაბერდება“, პატივცემულ შაკალოვს არაფერი უთქვამს.

◎ ცინცხალი ანეკდოტები

— რობერ და რის ხარჯზე ცხოვრობენ ჩვენი ჩინოვნიკები ასეთი ფუფუნებით?

— ძირითადად სამხილთა უკმარისობის ხარჯზე.

* * *

— ძვირფასო, წყალში რომ გადავხტე, გადამარჩენ? — ეკითხება ცოლი ქმარს.

— საყვარელო, რომ გითხრა კიო, გადახტები?

* * *

— ნახე, რა კარგი საქორწინო კაბაა! მოიზომე...

— არა.

— რა იყო. ზუსტად შენი ზომაა!

— უხერხულია.

— რატომაა უხერხული. შედი კაბინაში და მოიზომე...

— დამანებე რა თავი, პეტკა. რა დროს საქორწინო კაბის მოზომვაა. ორი დღეა, პირი არ გამიპარსავს...

* * *

— წარმოგიდგენია, გუშინ, სანადიროდ წასულს, თოფი სახლში დამრჩენია...

— წარმოუდგენელია. და როდის გაგახსენდა თოფი?

— სამწუხაროდ, მხოლოდ მაშინ, როცა ცოლს მოკლული კურდღელი მივუტანე...

* * *

— რითი შეუძლია რიგით მოქალაქეს თავისი გამტყავებელი სახელმწიფოსთვის სამაგიეროს გადახდა?

— ხანგრძლივი პენსიონერობით.

* * *

— შეიძლება გრიპის პროფილაქტიკისთვის ყინვაში ცივი წყლით დავიზილო ტანი და ტრუსებით ვირბინო? — ეკითხება პაციენტი ექიმს.

— შიზოფრენიას გრიპი სჯობს, ჩე-

საქართველოს
რესპუბლიკა
SAKARTVELOS
RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434
მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
293-37-87
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო
ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24
გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20
uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.320; ევრო - 2.596;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.316;
100 რუბლი - 3.475; თურქული ლირა - 0.820;
აზერბაიჯანული მანათი - 1.575;
1000 სომხური დრამი - 5.042

ამინდი 30 მარტისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +1, დღე +14
მთიანი რაიონები - ღამე -3, დღე +10
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +0, დღე +14
მთიანი რაიონები - ღამე +11, დღე +5
თბილისი: ღამე +4, დღე +10

ჩვენი მისამართია:
თბილისი, მაჩაბლის ქ. №7
ტელ: 293-37-87, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE